

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0130 — 1624

# დროშა

ოქტომბერი

№ 10 1982 წ.


ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „კაცობრიობა აღისრულებს თავის სანატრელს“...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველმა ხალხმა უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნა თავისი უკვდავი შვილის, დიდებული მწერლის — დავით კლდიაშვილის დაბადების 120 წლისთავი.

სოფელ ზემო სიმონეთში საზეიმოდ გაიხსნა დავით კლდიაშვილის რეკონსტრუირებული სახლ-მუზეუმი. დავით კლდიაშვილის შვილმა — ცნობილმა ქართველმა მწერალმა სერგო კლდიაშვილმა გადაჭრა ლენტი, და სახლმა, რომელშიც ვაჟა-ფშაველა და სხვა გამოჩენილი ქართველი მამულიშვილები არიან ნამყოფი, წლევანდელ პირველ სტუმრებს გაუღო კარი.

მუზეუმის პირველ სართულზე მოწყობილი ექსპოზიციის დათვალიერების შემდეგ სტუმრები შეხვდნენ დავით კლდიაშვილის უკვდავ გმირებს — სოფლის სცენის მოყვარულებმა და ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს სცენები ნაწარმოებებიდან: „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ირინეს ბედნიერება“, „დარისპანის გასაჭირი“.

საყვარელი მწერლის იუბილესთან ერთად თერჯოლის რაიონის მშრომელებს მოსავლის სასიხარულო დღესასწაულიც ეწვია. კოლმეურნეთა ლამაზი კარმიდამო, ბარაქიანი იმერული შემოდგომის ნობათით სავსე, ყოველ ეზოში გაშლილი სუფრა თვალნათლივ მოწმობს, თუ რა შესანიშნავად ცხოვრობენ იმათი შთამომავალნი, რომელთა ულიმღამო ცხოვრებაც ასახა თავის ნაწარმოებებში დავით კლდიაშვილმა. მასპინძელთაგან, ალბათ, ყველაზე უფრო კოლმეურნეები შოთა და დათიკო სამანიშვილები ეცილებოდნენ გულუხვ თანასოფლელებს, სტუმრებს, აქაოდა ამის უფლება გვაქვს კლდიაშვილის შემოქმედებასთან განსაკუთრებული „თანაზიარობის“ გამოო. მათ უნდოდათ მწერლის ხსოვნის პატივსაცემად ჩამოსულ ყველა ადამიანს ენახა, თუ როგორ ცხოვრობენ ახლა სამანიშვილის შთამომავალნი...

შემდეგ საიუბილეო ზეიმის მონაწილეები გაემართნენ რაიონულ ცენტრში, სადაც დავით კლდიაშვილის ძეგლი გაიხსნა.

მიტინგის გახსნისას პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველმა მდივანმა ანზორ ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ ხალხი — გამოჩენილი რეალისტი მწერლის თხზულებათა მთავარი გმირი, ამაგად უნაზღაურებს მას სიყვარულს, რომლითაც იგი იყო გამსჭვალული მშრომელი ადამიანისადმი.

მიტინგზე გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორი, პროფესორი ვასილ კიკნაძე, მწერლები რევაზ ჯაფარიძე და ლევან სანიკიძე, საბჭოთა კავშირის გმირის კონსტანტინე ლესელიძის და — რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ა. ლესელიძე, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი მ. ქოჩიაშვილი, რომლებმაც მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის უკვდავებაზე ილაპარაკეს. ამაღელვებელი იყო სერგო კლდიაშვილის გამოსვლა, რომელმაც მხურვალე მადლობა გადაუხადა რესპუბლიკისა და რაიონის ხელმძღვანელებს, ყველა შეკრებილს მისი სახელგანთქმული მამისადმი ესოდენ დიდი ყურადღებისათვის.

ძეგლის გახსნის საპატიო უფლება ენიჭება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ედუარდ შევარდნაძეს. ძეგლის ავტორები არიან თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, მოქანდაკე ლ. მხეიძე და საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი გ. თოდაძე.

საიუბილეო ზეიმის მონაწილეებმა დაათვალიერეს ოთხი ძმის ქუჩა, იყვნენ მათი სახელობის წყაროზე, სადაც მარადიული ცეცხლი ანთია. სოფელ ზედა საზანოს მკვიდრნი მიხეილ, ნესტორ, გაბრიელ და ვასილ ხამაშურიძეები დიდი სამამულო ომის ფრონტებზე წავიდნენ და სიცოცხლე შესწირეს ჩვენი ხალხის ბედნიერებას. ბრძოლის ველიდან არ დაბრუნებულან სოფელ ეწრის მცხოვრები ოთხი ძმა ლომთაძეებიც. ასეთი ოჯახი თერჯოლაში კიდევ რამდენიმეა და სწორედ მათ პატივსაცემად არის შექმნილი ეს თავისებური მემორიალი.

სურათების გალერეაში მოეწყო გამოფენა „დავით კლდიაშვილი და ქართული სცენოგრაფია“. ზეიმის მონაწილეებს გადაეცათ ლამაზად გაფორმებული ბროშურები — „თუ ჩვენს მხარეს ჩაგივლია...“, რომლებიც მწერლის იუბილესათვის გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“, და წიგნის მოყვარულთა რესპუბლიკური საზოგადოების მიერ მომზადებული ბუკლეტი დავით კლდიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

სტუმრებმა დაათვალიერეს თერჯოლის მიდამოებში ამას წინათ აღმოჩენილი უნიკალური კარსტული მღვიმე, რომლის კეთილმოწყობაც მიმდინარეობს და რომელიც უკვე წლეულს მიიღებს ტურისტებს.

„კაცობრიობა აღისრულებს თავის სანატრელს“, — დავით კლდიაშვილის ეს წინასწარმეტყველური სიტყვები, რომლებიც დიდი ასოებით ეწერა ტრანსპარანტებზე, მთელი დღესასწაულის ლაიტმოტივი გახდა. მათ კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი იმას, რომ ახდა მწერლის სანუკვარი ოცნება, და რომ აღსრულდება ყველაფერი, რასაც საბჭოთა ხალხი განიზრახავს.

დავით კლდიაშვილის დაბადების 120 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დიმიტრი ქართველიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გურამ ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნოდარ ჯანბერიძე, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, სამინისტროებისა და შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№10 (550) ოქტომბერი, 1982

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

ხუტა ბერულავა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1982 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, ოთარ თურქია, რევაზ მარგიანი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა






ვილნიუსი. ახალი მიკრორაიონი ჟირგუნაი.



გედიმინასის ძველი კოშკი.



ტაურაგესის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ხალხური ანსამბლი „იურა".

# ლიტვა



სსრკ სახალხო მხატვარი პროფესორი ვიტაუტას იურკუნასი თავის სახელოსნოში.



მდინარე ნერისის სანაპიროზე.



ლიტვის სახალხო პოეტი ი. მარცინკევიჩი და ლიტვის სსრ დამსახურებული არტისტი ლ. ნორეიკა. ფოტო ს. შიმკისა.



კაუნასის რადიოქარხანაში.



ძველი კაუნასი. ფოტო ვ. ვალუშისი.

# მირზა ფათალი ახუნდოვი

## 170



ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად ვცემთ პატივს მირზა ფათალი ახუნდოვს, როგორც დიდ მწერალს, მოაზროვნე-მატერიალისტს, განმანათლებელს, დემოკრატს, ახალი აზერბაიჯანული რეალისტური ლიტერატურის ფუძემდებელს. სწორედ მან გადო უხილავი ინტელექტუალური ხიდი დიდი ნიზამიდან თანამედროვე აზერბაიჯანული კულტურისაკენ, რომლის მიღწევებს ესოდენ მაღალი შეფასება მისცა ლ. ი. ბრეჟნევმა, როცა რესპუბლიკას ლენინის ორდენი გადასცა. სწორედ მან, მირზა ფათალი ახუნდოვმა, დაამსხვრია რა რელიგიური ბორკილები, თავისი ხალხის სულიერი აზროვნება გაამდიდრა მოწინავე რუსული და დასავლეთევროპული აზრის ცხოველმყოფელი ნაკადით.

მაგრამ მაინც, თითოეულ თბილისელს, საქართველოს თითოეულ მცხოვრებს იგი აგრეთვე თავის პოეტად და მოაზროვნედ მიაჩნია. არა მარტო იმიტომ, რომ თბილისური ზეცა მისთვის, ისევე როგორც ბევრი რუსი, აზერბაიჯანელი, სომეხი, უკრაინელი და სხვა მოძმე ხალხების შვილებისათვის მშობლიური გახდა, არა მარტო იმიტომ, რომ აქ გაატარა მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება.

არა! ახუნდოვი ჩვენთვის ახლობელია იმით, რომ, როგორც ტირანიისა და ძალმომრეობის, რელიგიური ფანატიზმისა და ჩამორჩენილობის შეურიგებელი მტერი, იგი სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს მოუწოდებდა თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის, მისი აზრები და შეხედულებანი ინტერნაციონალურია თავისი არსით და ეს არის მათი განსაკუთრებული მიმზიდველი ძალა. სწორედ მას ეკუთვნის ჭეშმარიტად ოქროს სიტყვები: „იმის ერთგული მსახური ვარ, ვისაც კაცობრიობა უყვარსო".

**ე. ა. შევარდნაძე**

მირზა ფათალი ახუნდოვის დაბადების 170 წლისთავთან დაკავშირებით თბილისში ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობის სახლის გახსნისას, 1982 წლის 4 ოქტომბერს წარმოთქმული სიტყვიდან.

### მირზა ფათალი ახუნდოვის ქალაქში

შექი თუ ნუხა... სახლი უბრალო...
მირზა ფათალი... მირზა ფათალი...
აზერბაიჯანს ბედმა უმრავლოს,
დღესაც და ხვალაც, მისი ბადალი!

რა მცირე ჭერქვეშ იბადებიან
რაინდები და ბუმბერაზები!
ამ ძველ აკვანსაც წილად რგებია
ერის მედროშის იყოს გამზრდელი...

რომუალდ გრანაუსკი

# რატომ შრიალებენ მუხები

## მოთხრობა

გაზაფხულ...ს გრილ ღამეებში, როცა მთვარის სხივები ჩუმად შრიალებენ ფიჭვებში, ჩვენ პარკში ჩრდილებით დასერილ ბილიკებს მივუყვებოდით და ფერმკრთალ გოგონებს ვეალერსებოდით. ეს ჩვენი პირველი გაზაფხული იყო, ჩვიდმეტი წელი რომ ველოდით და ასე უეცრად კი მოვიდა.

აქამდე არაფერი გვსმენოდა ამ დიად და ლამაზ სამყაროზე. ჩვენ ვოცნებობდით ვარსკვლავებზე, მატარებლებზე, რომლებიც ქშენით ტოვებდნენ სველ ბაქანს და შორს, შორს მიდიოდნენ, ვოცნებობდით მწვანე ტევრში გაბნეულ კამკამა ტბებზე. მე ხშირად მივდიოდი ვენტის პირას. იქვე, ფლატეზე, წამოვწვებოდი, ნიკაპს ცხელ ქვიშაში ჩავყოფდი და საათობით გავყურებდი ხოლმე მდინარეს. თავს დამშრიალებდნენ მუხები. შორს, ლელიანში, გარეული იხვები ფუთფუთებდნენ. დროდადრო წამოვხტებოდი, ხელებს ვიქნევდი და ვყვიროდი. რას? არ მახსოვს. მგონი ლექსებს ვკითხულობდი იმაზე, თუ რატომ შრიალებენ მუხები, რატომ მოედინება მდინარე, რატომაა ცა ცისფერი, მაგრამ ყველა „რატომ?“ უპასუხოდ რჩებოდა. მერე ისევ ვწვებოდი ქვიშაზე და მდინარეს გავყურებდი.

ერთხელ გვიან საღამომდე შევრჩი ნაპირს. თვალი ვერ მოვაცილე წყალში დამხრჩვალ ღრუბლებს, ქარისგან დაწეწილნი თეთრად რომ ქათქათებდნენ მდინარეში. მათ ცისფერ ჭრილებში ვხედავდი ჩემს სევდიან აზრებს, რომელიც არავის აინტერესებდა... მუხის კენწეროები მზის დისკოზე იწვოდნენ, მდინარის ველს ჩუმად ეპარებოდა ბინდი. ქვიშა ჯერ კიდევ ცხელი იყო. მეგონა, ვიღაც უენო და უზარმაზარი მუხების ქვეშ, ჩემს გვერდით, იწვა. იქნებ გაზაფხულის უჩვეულო საღამო მოიქანცა და ფლატეზე ჩამოჯდა დასასვენებლად?

რა სისულელეა! გამეცინა და წყალში ჩავხტი. მზე ჩავიდა. მაინც ვბანაობდი და აქეთ-იქით ვისროდი დიდ, შავ შხეფებს. მერე ლელიანისაკენ გავწიე, იქ, სადაც დუმფარებში წყლიდან ამოშვერილიყო ბრტყელი ქვა. მეგონა, მარტო მე ვიცოდი მისი არსებობა.

ქვაზე შიშველი გოგონა იჯდა და თმებს იწურავდა. ჩემი არ შეშინებია. ჩაიწია და ადგილი დამითმო.

— აქ საიდან გაჩნდი? — მკითხა. წამწამებზე წყლის წვეთები უთრთოდა.

— გამოვცურე, აი, იქიდან, — ამოვისუნთქე და ქვებს [illegible] ჩავებღაუჭე, — შენ?

— მე სულ აქ ვბანაობ.

— მეც... აბა აქამდე ერთმანეთს რატომ ვერ შევხვდით?

— არ ვიცი. მე მართლა აქ ვბანაობ ხოლმე!

— ტყუილად ბანაობაც შეიძლება თუ?

მას გაეცინა, წვეთები წამწამებს მოწყდნენ. ერთი ხელი მკერდზე აიფარა, მეორე გამომიწოდა. გვერდით მივუჯექი და ზურგი შევაქციე. ისიც ზურგით დაჯდა და მე ვიგრძენი მისი ტანის სიგრილე.

— ვერ შემნიშნე? — მომიბრუნდა ის.

— ვერა, ვბანაობდი!

— ბანაობდი და რაღაცაზე ფიქრობდი. რაზე?

— იმაზე, თუ რატომ შრიალებენ მუხები.

— იმიტომ, რომ ქარი არხევს ფოთლებს.

— ნუთუ ეს ასე უბრალოდ ხდება?

— რა, არ იცოდი?

— კი ვიცოდი, მაგრამ არ მეგონა...

გაეცინა და წყალში ჩასრიალდა.

— მოიცა, — მივაძახე, — რა გქვია?

— რაში გჭირდება ჩემი სახელი?

ნაპირზე ცოტა ხანს შეჩერდა. ბინდში თეთრად ქათქათებდა მისი ტანი.

ნელი-ნელ გამოვცურე უკან. ფლატეზე აღარ იწვოდნენ მუხები. მერე მინდორს გავუყევი სახლისკენ, იქით, სადაც ქალაქის ჩირაღდნები ელავდნენ. გზატკეცილზე სინათლის ბოძებს მიაცოცებდნენ მანქანები და ღამე უფრო ბნელი ჩანდა.

გათენდა თუ არა, მდინარეზე გავიქეცი. სანაპიროზე, ქვიშაში დიდხანს ვეძებდი გოგონას ნაფეხურებს, მაგრამ არსად ჩანდა. არც იმ ადგილას, სადაც წყლიდან ამოვიდა და გავიფიქრე, ალბათ განთიადის ქარმა გადამალა ნაკვალევი-მეთქი.

ლიტვურიდან თარგმნა ნანა დევიძემ

## ლიტვური დაინები

დაინა — უძველესი ლიტვური ხალხური ლექსი ამ სახელწოდებით მოვიდა დღემდე. დაინა აერთიანებს ხალხური სიმღერის ყველა ძირითად მოტივს, იგი ხალხის სწრაფვისა და ნების, სიხარულისა და ტკივილ... გამომხატველია...

### მამაჩემის მინდვრის გოლოს

მამაჩემის მინდვრის ბოლოს
შრიალებდა მუხა.
— მუხავ, მოჭრას გიპირებენ,
მოლხენილი ნუ ხარ!

— რომც მომჭრან და რომც
ამკაფონ,
მაინც ცისკენ ივლის
ჩემი ტოტი, როცა მოვა
გაზაფხული თბილი.

გაუზრდია მამას შვილი,
ჯარში გზავნის: მშვიდობით!
— გამაცილე, დაო ჩემო,
გავიაროთ მინდორი.

— გაგაცილებ, ძმაო, შენი
წასვლის ჟამი მოვიდა.
განა აღარ დაბრუნდები,
ძმაო ჩემო, ომიდან?

— ვერა, ველარ დავბრუნდები,
ბედს მივყევარ შავსა,

მაგრამ შავრაშს გამოვგზავნი,
გამოვატან თავშალს.

დრო გავიდა, დრო წავიდა
და წერილი მოვიდა.
მხოლოდ ხსოვნა დაგვიბრუნა,
სისხლიანი ომიდან.

დილით გაველ მინდორ-მინდორ
თეთრი ნისლი მდგარიყო,
ველზე ბევრი მხვნელი იყო,
ჩემი ძმა კი არ იყო.

დილით გაველ მინდორ-მინდორ
ხშირი შამბი მდგარიყო.
ბალახს თიბდნენ მთიბავები,
ჩემი ძმა კი არ იყო.

დილით გაველ მინდორ-მინდორ,
ველზე თავლა მდგარიყო.
იყო ბევრი ბედაური,
ჩემი ძმის კი არ იყო...

კვალზე მომდევს ხმობა კვნესის,
ბედი, გულის მზარავი...
ქვეყნად ძმაზე უკეთესი
მეგულება არავინ.

### ჩამოუქროლა ქარმა

ჩამოუქროლა ნიავმა,
ჩამოუქროლა
ქარმა.

მუხებს ფოთოლი დასცვივდა —
ამწვანებული
ქარვა.

ქარო, ნუ ჩამოუქროლებ,
ნუ ჩამოუვლი მუხებს,

ფოთლებს ნუ დააყრევინებ,
ამწვანებულან
წუხელ.

მცირეა ჩვენი ოჯახი —
ისეც ბევრი გვაქვს
საქმე.

ფოთოლს ნუ დააყრევინებ,
ფოთოლს ვერავინ
აკრეფს.

მამამ დატუქსა ყმაწვილი,
სიტყვები უთხრა
ავი.

მამავ, ნუ ტუქსავ ვაჟიშვილს,
არ აიტკიო
თავი.

ხვალე დაგხვდება კარლია,
თავლა დაგხვდება
ღია.

აღარ დაგხვდება ქურანი —
ველს გაჰყოლია
ტრიალს.

და უნაგირი ლამაზი
თან წაუღია
ტიალს.

### ძმაო ჩემო, შევარდენო

ძმაო ჩემო, შევარდენო,
ქალაქელ ქალს ნუ მო...ყვან:

ქალაქელ ქალს ნუ მოიყვან:
ადრე ნვება ლოგინში და
ძილს გაჭიმავს შუადღემდე.

ძილს გაჭიმავს შუადღემდე,
მსხვილად ართავს,
მეჩხერად ქსოვს.

მსხვილად ართავს,
მეჩხერად ქსოვს,
მღვრიე წყალში რეცხავს მერე.

მღვრიე წყალში გარეცხავს და
გადაჰკიდებს ღობეებზე...

ძმაო ჩემო, შევარდენო,
გამრჯე ქალი მოიყვანე.

გამრჯე ქალი მოიყვანე,
გამრჯე ქალი, მუხლმაგარი.

დილით ადრე წამოდგება,
წვრილად ართავს,
მჭიდროდა ქსოვს.

წვრილად ართავს,
მჭიდროდა ქსოვს,
წმინდა წყალში რეცხავს მერე.
წმინდა წყალში გარეცხავს და
მდელოზე გაფენს გასაშრობად.

თარგმნა ჯარჯი ფხოველმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ზეიმი

ვიქტორია სირაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე

კარს მოგვადგა ნათელი დღესასწაული — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა მრავალეროვანი სახელმწიფოს, მე-60 წლისთავი. ამ სახელოვან თარიღს საქართველოს მშრომელები აღნიშნავენ შრომითი აღმავლობისა და შემოქმედებითი აღმშენებლობის ატმოსფეროში, როგორც მსოფლიო-ისტორიულ მოვლენას, ლენინური ეროვნული პოლიტიკის, საბჭოთა ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ჭეშმარიტ ზეიმს.

სსრ კავშირის შექმნის შემდეგ განვლილი სამოცი წლის მანძილზე ჩვენს მრავალეროვან სამშობლოში მოხდა უდიდესი ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული გარდაქმნები, ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა ახალი ურთიერთობანი ხალხთა შორის. საგულისხმოა, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მე-60 წლისთავისათვის მზადება დაემთხვა ქართველი ხალხის ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის მოახლოებას — გეორგიევსკის ტრაქტატის, „მეგობრობის ხელშეკრულების“ 200 წლისთავს, რომელმაც დოკუმენტურად დაადასტურა რუსეთ-საქართველოს დიადი კავშირი.

ერთობ ძნელი იყო საქართველოს ბედი საუკუნეთა მანძილზე. საქართველოს მთელი ოქტომბრამდელი ისტორია მატიანეა იმისა, თუ როგორ იბრძოდა ქართველი ხალხი მრავალრიცხოვანი უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ეროვნული დამოუკიდებლობის, მდიდარი თვითმყოფადი კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებისათვის; ეს არის განუწყვეტელი ომებისა და სისხლის ღვრის, ჭირ-ვარამისა და ცრემლების, ნგრევისა და გაპარტახების მატიანე.

მაგრამ თავისუფლებისკენ, აღმშენებლობისა და პროგრესისაკენ დაუოკებელი სწრაფვა, რაც დასაბამიდან მოსდგამს ქართველ ხალხს, მთელი სისრულით გამოვლინდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა დაემხო ექსპლუატაციის, ეროვნული ჩაგვრისა და ძალმომრეობის სამყარო.

საქართველოს მშრომელებმა, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხმა, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების გზა განვლეს დიდ რუს ხალხთან, რუსეთის პროლეტარიატთან ერთად. რუსი და ქართველი ხალხის ძმობას დასაბამი მიეცა XVIII და XIX საუკუნეების მიჯნაზე, როცა აღმოსავლეთის დესპოტური რეჟიმებით განაწამები საქართველო საუკუნოდ შეუერთდა დიდ რუსეთს, რომელთან დაახლოება საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა და რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოში რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე...

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი საზოგადოებაში ეროვნული საკითხის სოციალურ-კლასობრივი შინაარსის გარკვევისას, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სოციალური ჩაგვრისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მოუსპობლად ერების ნამდვილი თანასწორობის მოპოვება შეუძლებელია. ამ მარქსისტულ დებულებებზე დაყრდნობით ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა კომუნისტური პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის მწყობრი თეორია, პროგრამა ეროვნული პოლიტიკის სფეროში და მჭიდროდ დაუკავშირა ისინი სოციალიზმისათვის რევოლუციური ბრძოლის ამოცანებს, ამ ბრძოლაში ყველა ეროვნების პროლეტარებისა და მშრომელი მასების დაახლოების ამოცანებს.

ჯერ კიდევ დიდ ოქტომბრამდე გაუჩნდა და განუმტკიცდა ქართველ მშრომელებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობა, რომელმაც მკაცრ განსაცდელს გაუძლო, კიდევ უფრო გამოიწრთო და ღირსეულად ჩააბარა გამოცდა რევოლუციისა და სამოქალაქო ომის, პირველი ხუთწლედების, დიდი სამამულო ომის ფრონტებზე და ომისშემდგომ მშენებლობებზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღიდანვე, საქართველოს რევოლუციური კომიტეტი შეუდგა მშრომელთა ინტერნაციონალური შეკავშირების შესახებ ლენინის მითითებათა განხორციელებას.

ამიერკავკასიის ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ძალებისა და საშუალებათა მაქსიმალური მობილიზაციის მიზნით, ფართოდ გაჩაღდა საყოველთაო-სახალხო გამაერთიანებელი მოძრაობა და ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეას მთლიანად დაუჭირეს მხარი მშრომელებმა.

უკვე 30-იანი წლების მეორე ნახევარში, საბჭოთა კავშირში ძირითადად დამთავრდა სოციალიზმის მშენებლობა. სოციალისტური წარმოების წესის გამარჯვება, ეკონომიკის, კულტურის, საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურისა და საბჭოთა ხალხის ურთიერთობის ძირეული ცვლილებები აისახა სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციაში, რომლის თანახმად ამიერკავკასიის რესპუბლიკები უშუალოდ შევიდნენ საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკების შემადგენლობაში.

სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში კი აისახა განვითარებული სოციალიზმის უდიდესი მონაპოვრები და, შესაბამისად, ერებისა და ეროვნებების ურთიერთობათა განვითარების ახალი, უმაღლესი ეტაპი. კონსტიტუციის თითოეული მუხლი გამსჭვალულია ჩვენი ქვეყნის მრავალეროვანი მოსახლეობის ინტერესებზე, ეროვნული რესპუბლიკების ყოველმხრივ აყვავებას და სუვერენიტეტის დაცვაზე, ხალხთა შორის მეგობრობისა და ინტერნაციონალური ერთიანობის განმტკიცებაზე ზრუნვით.

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოა, რომელიც გაერთიანებულია სხვა რესპუბლიკებთან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად“ — ჩაწერილია საქართველოს სსრ კონსტიტუციაში.

საქართველოს სს რესპუბლიკა ინარჩუნებს სსრ კავშირიდან თავისუფალი გამოსვლის უფლებას. მას აქვს თავისი პარლამენტი, ჰყავს მთავრობა, აქვს თავისი სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა, სახელმწიფო ჰიმნი, თავისი სამართლებრივი და სხვა ეროვნული ინსტიტუტები. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა ქართული ენა, რესპუბლიკას უფლება აქვს ურთიერთობა დაამყაროს უცხოეთის სახელმწიფოებთან, დადოს მათთან ხელშეკრულებები და გაცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები, მონაწილეობდეს საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღჭურვილია საქართველოს სსრ მოქალაქედ მიღების უფლებით; მას შეუძლია გადაწყვიტოს უცხოელ მოქალაქეთათვის თავშესაფრის მიცემის საკითხი, მოახდინოს საქართველოს სს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება და დენონსირება, დანიშნოს და უკან გაიწვიოს საქართველოს სსრ დიპლომატიური წარმომადგენლები უცხოეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ამრიგად, ლენინური დებულება თვით სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე ერთა თვითგამორკვევის შესახებ — რეალური ფაქტორია. ამას მოწმობს ჩვენს რესპუბლიკაში სახელმწიფო მშენებლობისა და სოციალისტურ გარდაქმნათა ისტორიული გამოცდილება და ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ ქართველი ხალხის უდიდესი ნახტომი საქმიანობის ყველა სფეროში.

საკმარისია გავიხსენოთ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე თვეებში — 1921 წლის 26 მაისს საქართველოს რევკომმა მიიღო დეკლარაცია, რომლითაც ცნო აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დამოუკიდებლობა საქართველოს სსრ შემადგენლობაში. 1921 წლის 16 ივლისს შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ხოლო 1922 წლის აპრილში — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

საქართველო დღეს საბჭოეთის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ორგანული ნაწილია.

საბჭოთა რესპუბლიკების ასი დარგის საწარმოები გზავნიან თავიანთ ნაწარმს საქართველოში. ბევრი მათგანი იღებს ქართული მარკის პროდუქციას.

საქართველო დღეს შავი და ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ჩარხმშენებლობის, საავტომობილო და ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთმშენებლობის, ქვანახშირის, ნავთობის, ქიმიური, ხისდამმუშავებელი, კვების მრეწველობის რესპუბლიკაა.

საქართველოს ელექტროსადგურები ახლა ყოველდღე იძლევიან 15 მილიარდ კილოვატსაათზე მეტ ელექტროენერგიას, 60-ჯერ მეტს, ვიდრე რესპუბლიკა იძლეოდა 1923 წელს.

მძლავრ ინდუსტრიასთან ერთად საქართველოში შეიქმნა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობა. თვალს ახარებს რესპუბლიკის მიწაზე ჩაისა და ციტრუსოვანი პლანტაციები, ვენახები და ხეხილის ბაღები.

საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის მკვეთრმა ზრდამ განსაზღვრა მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ამაღლება და მათი სულიერი განვითარება. მარტო უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 1,7-ჯერ, მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების ბიუჯეტი გადიდდა 1,3-ჯერ, კოლმეურნეებისა — 1,7-ჯერ.

დღეს საბჭოთა საქართველოს მეცნიერ მუშაკთა არმია 25 ათას კაცზე მეტს ითვლის. რესპუბლიკის მეცნიერული აზრის ცენტრად იქცა 1941 წელს შექმნილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც 40-ზე მეტ ინსტიტუტს აერთიანებს.

1 მილიონზე მეტი მოსწავლე სწავლობს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, 19 უმაღლეს სასწავლებელსა და 97 საშუალო სპეციალურ სასწავლებელში განათლებას იღებს 100 ათასამდე სტუდენტი.

ნიჭიერი, თვითმყობადი ნაწარმოებებით ამდიდრებენ საბჭოთა და მსოფლიო კულტურის საგანძურს საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ერთმანეთის მხარ-

საქინფორმი

# საინფორმაციო სააგენტოს იუბილე

27 სექტემბერს თბილისში საზეიმო ვითარებაში აღინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს 60 წლისთავი. ცნობა ამის შესახებ საქინფორმმა გადასცა თავის მუდმივ ხელისმომწერებს — 22 რესპუბლიკურ, 7 საოლქო, 11 საქალაქო და 66 რაიონულ გაზეთს, საქართველოს ტელევიზიასა და რადიოს.

საღამო გაიმართა თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. სცენაზე ციფრის „60“ ირგვლივ შემოხვეული ტელეტაიპის ლენტი სააგენტოს კოლექტივის შრომის სიმბოლოა, კოლექტივისა, რომელიც ეძებს რესპუბლიკის ძირითადი საინფორმაციო-პროპაგანდისტული სამსახურის მუშაობის სრულყოფის ახალ გზებს.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, საკდესის გენერალური დირექტორი ს. ა. ლოსევი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ს. ე. ხაბეიშვილი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები.

საქინფორმის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

დამსწრეთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

წაიკითხეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება საქინფორმისადმი.

საქინფორმის კოლექტივს 60 წლის იუბილე მიულოცა საკდესის გენერალურმა დირექტორმა ს. ა. ლოსევმა.

საქინფორმის საქმიანობის, მის წინაშე დასახული ამოცანების შესახებ ილაპარაკა სააგენტოს დირექტორმა თ. გ. სტეპანოვმა.

საზეიმო სხდომაზე გამოვიდნენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი ტ. ვ. როსტიაშვილი, რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი გ. ვ. ბედინეიშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობის მეჩაიე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ც. ვ. თალაკვაძე, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს (არმენპრესის) დირექტორი მ. ა. ხაჩატრიანი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ჯ. ა. ჩარკვიანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეხუთე კურსის ფრიადოსანი სტუდენტი მ. გ. ტორაძე, რომლებმაც ახალი შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს საინფორმაციო სააგენტოს კოლექტივს.

## გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

**რუდოლფ ახპატელოვი** — სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, **ედუარდ გასპაროვი** — საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინფორმაციის განყოფილების გამგე, **თამარ გვახარია** — რესპუბლიკური ინფორმაციის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი, **იური გოლდმანი** — საკავშირო ინფორმაციის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი, **იაკობ გორელოვი** — სამართლებრივი აღზრდის, ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე, **სერგი ედიშერაშვილი** — ფოტოკორესპონდენტი; **ოთარ კაპანაძე** — დირექტორის მოადგილე, **ნინო კაციტაძე** — მთარგმნელი, **ანა ლოლუა** — ტელეგრაფისტი, **ლუდმილა პლატონოვა** — უფროსი რედაქტორი, **ანატოლ რუხაძე** — ფოტოკორესპონდენტი, **ლავრენტი საჯაია** — პასუხისმგებელი მდივანი, **თეიმურაზ სტეპანოვი** — დირექტორი, **მარკ ტრასკუნოვი** — საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინფორმაციის განყოფილების მიმომხილველი, **სალიმა ჩიაევა** — კორესპონდენტი, **ნუნუ ცქიტიშვილი** — უფროსი რედაქტორი, **გურამ ჭანიშვილი** — მთავარი გამომშვები, **ირაკლი ჭოხონელიძე** — ფოტოკორესპონდენტი აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, **თენგიზ ჯიბუტი** — კორესპონდენტი აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში.

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს 60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭათ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი“**

**სოლომონ ბელმესს** — კორესპონდენტს აჭარის ასს რესპუბლიკაში, **დავით ბინაძეს** — კორესპონდენტს, **მერი გაბრიაძეს** — უფროს რედაქტორს, **პეტრე გოროვოის** — პასუხისმგებელ გამომშვებს, **ალბერტ ვიგნანსკის** — პასუხისმგებელ გამომშვებს, **ნოდარ ზედელაშვილს** — თარგმანთა მთავარი რედაქციის მთავარ რედაქტორს, **ზურაბ ლომიძეს** — დირექტორის მოადგილეს, **კირილე რასოევს** — ფოტოინფორმაციის უფროს რედაქტორს.

**„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“**

**ნიკოლოზ ანასტასიადის** — ფოტოკორესპონდენტს, **მუსა არაბულს** — უფროს რედაქტორს, **თამარ ახალაძეს** — კორექტორს, **გივი კიკვაძეს** — ფოტოკორესპონდენტს, **ეკატერინე მანუკოვას** — კადრების განყოფილების გამგეს, **მედეა მაჭარაშვილს** — საინფორმაციო-საცნობარო განყოფილების გამგეს, **გენრიეტა მოდებაძეს** — რედაქტორს, **ოქროპირ სამხარაძეს** — რედაქტორს, **თამარ შარუხიას** — რედაქტორს, **დომნა ჩებერიაკს** — მთარგმნელს, **ლეილა ჯაფარიძეს** — რედაქტორს.

**„საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი“**

**ვენერა ბუაძეს** — კავშირგაბმულობის კვანძის ცვლის უფროსს, **ოლღა სახიშვილს** — ტელეგრაფისტს, **სიმონ ტურიშჩევს** — კავშირგაბმულობის კვანძის უფროსს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“**

**მარიამ ციმაკურიძეს** — მთავარი ბუღალტრის მოადგილეს.

**დამხარ შრომობენ და ცხოვრობენ 80-ზე მეტი ეროვნების ადამიანები.**

**გვაგონდება საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის ზეიმზე ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ თბილისში წარმოთქმული შესანიშნავი სიტყვები: „ჩვენს ქვეყანაში ყველგან იციან: საქართველო — ეს არის დედამიწის თვალწარმტაცი კუთხე, სადაც ცხოვრობს გულღია ხალხი, ოდითგან რომ აფასებს კაცურკაცურ კეთილშობილებას, შთაგონებულ შრომას, მხედრულ ვაჟკაცობას და ერთგულ მეგობრობას“.**

**1982 წლის ივლისში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული, საერთო-პარტიული მნიშვნელობის დადგენილება „სსრ კავშირის შექმნის—60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს ჯს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. მასში მოცემულია იმ ბრძოლის მაღალი შეფასება, რომელიც საქართველოს კომუნისტებმა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე გასწიეს ლენინური ნორმებისა და პრინციპების აღდგენისათვის ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, განზოგადებულია საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მდიდარი გამოცდილება სსრ კავშირის დიადი იუბილის ღირსეული შეხვედრისათვის.**

**როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმზე მოხსენებაში აღნიშნა, ჩვენი რესპუბლიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყველა დადგენილების მიზანი იყო „ძირეულად გაგვეჯანსაღებინა ვითარება რესპუბლიკაში, განგვემტკიცებინა მისი ეკონომიკური პოტენციალი, დავხმარებოდით მშრომელებს, უფრო წარმატებით გადაეწყვიტათ კომუნისტური მშენებლობის ამოცანები“.**

**ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ლენინური იდეების ერთგულ საბჭოთა საქართველოს მშრომელებს თავიანთ ამოცანად მიაჩნიათ ის, რომ კვლავაც განამტკიცონ ჩვენი ქვეყნის ძლიერება, წარმატებით განახორციელონ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიზანდასახულობანი, ღირსეული საქმეებით შეეგებონ დიადი საბჭოთა ქვეყნის სახელოვან იუბილეს.**

# ლატვიელი პოეტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იმანტს ზიედონისი

ლატვიის სახალხო პოეტი

* * *

შეხედე, მოხუცი ბადეს როგორ ისვრის,
რა დინჯად გართულა ამით,
თითქოს არც ყოფილა პირველი, მეორე
მსოფლიო ომების ღამე.

შეხედე, ვით უვლის ფუტკრებს, მწვანე რტოებს
აშორებს ნაყარს და ნამი
ვერცხლივით წკრიალებს, შეხედე, მოხუცი
მუშაობს და გადის ჟამი.

შეხედე, მოხუცი რა დინჯად ხარშავს ლუდს —
ისე ბლანტს, ვერ გაჭრი დანით.
თითქოსდა არ იცის, რას უზამს ლუდი და
თავად არც დამთვრალა ნამით.

შეხედე, შეხედე, შეხედე მის ხელებს,
მუშაობს მოხუცი, და მით
უფრორე მშვიდია, თითქოს მას წინა აქვს —
სხვა მარადისობის ჟამიც.

მაგრამ თუ მოხუცმა იცის, რომ უცნობი
სხივის ნაწილია, ამით
ხომ არის შესაძლო, რომ მართლაც წინ ჰქონდეს —
მას მარადისობის ჟამი?!

იქნება, მართლაცდა მარადისობისთვის
მრავალმეტყველია, და მით
უფრო მოხუცისთვის — აკეთონ ყოველი —
წმინდა დახანების ჟამით?..

## ოიარ ვაციეტისი

ლატვიის სახალხო პოეტი

* * *

დიახ, მე მაშინ ვმწყემსავდი ფარას.
ვმწყემსავდი ფარას...
და არა მარტო ასე,
არამედ —
ამ ცხოვრებაში ბევრ რამეს ვიწყებთ
ენის ბორძიკით:
„მეე-ბეე“-თი.

ნეტავ რად გვინდა კამათი, მამავ,
ნუ დამაყვედრი ამიერიდან,
რომ მე ცხვრის ფარას ვმწყემსავდი მაშინ.

შენ მართალი ხარ:
„ფერდინანდი“ ძაღლებს არ უფრთხის,
ხოლო „იუნკერსს“ ჩემი შოლტი ფეხზე ჰკიდია...
მეტყვი: ოდერის გადაცურვაო?
მართლაცდა, რაღას გავაკეთებდი,
მე რომ ოდერი გადამეცურა?..

დიახ, მე მაშინ ვმწყემსავდი ფარას.
ნუ მეტყვი ახლა, რომ ეს ცოტაა...
დანარჩენი კი — ყოველივე შესაძლებელი
შენ გააკეთე ჩემს მაგივრად —
ხოლო ამაზე, —
დამრთე უფლება,
ვთქვა გულამაყად:
მეც მიშრომია.

ნუ დამაყვედრი, რომ ცხვარს ვმწყემსავდი, —
მე ვმწყემსავდი —
ფარაჯებს თქვენსას.

## იმანტს აუზინში

### ძველი რიგა

აქ, ჩამოხრჩობილთ აჩრდილები, კოცონთა ალი,
ჰაერში დაძრწის, ვით ხარხარი ინკვიზიტორის...
აქ, ქვები სდუმან, მაგრამ ახსოვს ქვაფენილს — დაღლილს,
ჯვარ-ჯვაროსანთა, დამპყრობელთა ნაბიჯი-ტორი.

აქ, ამ საყდრების კრამიტიან სახურავებთან,
ჭექა-ქუხილში, როს მოდიან ღვარად წვიმები,
ყველა მაგისტრს თუ გვირგვინოსან მეფეთა მეფეს
აფურთხებს შვიდი საუკუნე — გულდამშვიდებით.

## ვიზმა ბელშევიცა

* * *

მე სიყვარული ჩემი მომაქვს ისე სათუთად,
როგორც ბავშვს მოაქვს ჭადრის ფოთოლი —
(რომელმაც ჩვენს წინ ეს-ესაა აიდგა ფეხი).
უცხო სიდინჯით უკავია გამოწვდილ ხელში,
ეტყობა, უჭირს ნაბიჯების გათანაბრება,
როცა გარშემო უსაშველო შემოდგომაა.
ცვივა და ცვივა
ხეებიდან ჩუმი ჩურჩულით —
იდუმალების ოქრო-ვერცხლი ნაბიჯებს ურევს,
მაგრამ ბიჭუნა არ ბორძიკობს,
მოაქვს ფოთოლი.
იგი მისია... უკავია ხელში თამამად
და მოზეიმე მოაბიჯებს ფოთლების ქარში.

## ეგილს პლაუდისი

### შადრევანი

თავისუფალი შადრევანი გაზაფხულისა,
მღელვარედ უტევს ცისარტყელას მწვანე შხეფებით!
შადრევანია დილის მაცნე, ლტოლვა სულისა,
ნათელი დღეა, როს მუქ ღრუბელს ვერსად შეხვდები.

ქალაში ხარი ძროხას დასდევს, უბღვერს მეორე...
ძაღლების ომი... ბიჭუნებმა გაიმეორეს —
ჩხუბი... წუთი წუთს ერეკება, საქმეს კი საქმე,
და უქნარობა კვლავ მათხოვრის ჩანთას დააქნევს...

სიცოცხლე მიქრის, და ცხოვრებას თავგამეტებით
სწავლობენ ყრმანი... შადრევანი გაზაფხულისა,
მღელვარედ უტევს ცის სილურჯეს მწვანე შხეფებით!

## ლეონს ბრიედისი

### ყრუ ტკივილი

ყრუა ტკივილი; ყრუ, საშინელი
გამჯდარა ხელში, და გტკივა ძვალიც;
ხდება ხანდახან — მცირედი აზრი
თვით სიგიჟემდე მიგიყვანს ძალით.

ნეტავი, რისთვის მოაქვს მაღალი
ტალღა მკერდს, რაკი იგი გაცივდა?
მკვდარს ჯერაც შერჩა ღია თვალებში
სხივის ჩუქურთმა ნაზი და წმინდა.

ცაცხვები — მწკრივად, კრავები — ფარად,
და ყვავილებმა მოჭარგეს ველი...
ორი მერცხალი ჭიკჭიკებს ზღურბლთან,
თვალწინ, დედასთან, რომელიც გელის...

ლატვიურიდან თარგმნა **რენე კალანდიამ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რიგა — კომკავშირის სახელობის სანაპიროზე.

სსრკ 60



რიგის შრომის წითელი დროშის სახელობის ვაგონმშენებელი ქარხანა საამწყობო საამქროში.




დაუგავპილსი — ესტრადაზეა 3.500 მომღერალი და 1500 მოცეკვავე.





ვენტსპილის იან სუძრაბკის სახელობის თევზჭერის კომბინატი, სურათზე: კომბინატის ნავსაყუდელში.

# ლატვია

რიგის ლენინის ორდენოსანი ლენინის სახელობის ელექტროტექნიკური ქარხნის სარელეო ხაზი.

იურმალა — საკურორტო ცენტრი ლატვიაში



## [illegible]

თბილისელი ვარ. ვერისუბნელი. ას წლის — [illegible] და მაინც გუშინდელ დღესავით მახსოვს ჩვენი დედაქალაქის ძველი უბნები, რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩაბანდები, თავზე თაბახშემოდგმული კინტოები, ხალხმრავალი შაითან ბაზარი, სირაჯხანა და სეიდაბადი, აშპაშხანა და ბაზაზხანა...

თითქოს ისევ ნათლად ჩამესმის ყურში მინარეთზე გადმომდგარი მოლას კივილი, კონკის ხმაური, არღნის ჭყვიტინი. ტივზე მოქეიფე ყარაჩოხელების ომახიანი სიმღერა.

დგას ნიკალა, დუქნების და სამიკიტნოების აბრებს ხატავს; ხაბარდიანი კნეინები ცხვირაბზეკილები უქცევენ გვერდს კუთხეში მიყუჟულ კურტნიან მუშებს; ეზო-ეზო სახედრებით დააქვთ ქორფა კიტრი და პატარძლის ხელით დაკრეფილი მწვანილი, მოთალი და კამეჩის მაწონი, სამოვრის მიწა და ბარდანა ნახშირი...

თილისმა ჰქონდა თბილისს. სულ სხვა ეშხი და განუმეორებელი ლაზათი. ჩამობრძანდა პუშკინი და მოიხიბლა. გვეწვია ტოლსტოი და ალტაცებაში მოვიდა...

სხვაც ბევრი მოხიბლა და დაატყვევა ჩვენმა დედაქალაქმა.

აკი გითხარით, ასი წელი შემისრულდა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და, თბილისელებთან ერთად, მთელ საქართველოს მივულოცო თბილის-ქალაქობის დღესასწაული.

დამილოცნიხართ, შვილებო, პელო ბაბო სიკეთეს უსურვებს ყველას, ვინც ეს დღესასწაული წამოიწყო, ვინც თბილისის ძველი უბნების გაცოცხლებას დაუდო სათავე, ვინც ძალ-ღონეს არ იშურებს ჩვენი ლამაზი, ფართოდ მხარგაშლილი ქალაქის კიდევ უფრო დასამშვენებლად.

პელო ხიზანიშვილი

## ლექსები

**ბიძინა წიკლაური**

### შ ა ტ ი ლ ი

აქამდე ამ მთებს მზერას როგორ დავუძვირებდი,
მიზეზ-მიზეზი... პირველნახვის დღეს მხვდა პატივი,
ბედად ჩაიბნა ნაპრალებში ნისლის მძივები,
თვალსაწიერზე ხომალდივით იძვრის შატილი.

ძელქვა ძარღვები სამზეურის კართან დავფინე,
თვალმა აღნუსხა მოწოლილი შუქის მატება,
მასპინძელივით ნავუკიდე ცეცხლი კაფიებს,
შევისისხლხორცე, შევეკედლე დევთა ნატერფალს...

და... რა თვალები — გაელვება ტყეში იების,
რა ცეცხლი იყო, მზის სიცილი და რა პატივი...
რქებით დახია ირმის ჯოგმა ნისლის მძივები
და ნავსადგურში ხომალდივით მოდგა შატილი.

* * *

გზაჯვარედინზე შეჩერდა გოგო,
გზაჯვარედინზე ჩერდება ბიჭი,
გზაჯვარედინზე მდინარე ბორგავს,
გზაჯვარედინზე გახელდა ლიჭი.

უხმობს დასერილ მაჯას მერდინი,
ძარღვებიც ველარ დადინჯებულან...
ნეტავი ასეთ გზაჯვარედინთან
კვლავ დამაჩოქა ადრინდებულად.

გურჯაანის რაიონი,
სოფელი შაშიანი.



ტალინი — ქალაქის ცენტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესტონეთი



ხალხური მუსიკოსი. ა. რუხაძის ფოტო.

სსრკ 60



ტალინი — ესტონეთის ოპერისა და ბალეტის თეატრი.



არნოლდ კოოპი — საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ლექციაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტალინი — ხალხური ცეკვის ანსამბლი.



ესტონური ხალიჩები.
მქსოველები კარინ ტოომემაა და მინიკა აკერტა.



ტალინი — რატუშა

# კანელზე დამკვრელი

**ანტონ ჰანსენ-ტამსაარე**

კანელზე[1] დამკვრელი მიუხედავად იმისა, რომ გაჭაღარავებული მოხუცი იყო, ოცნებითა და შთაგონებით სულგანათებულს, გულში ისევ ახალგაზრდული ცეცხლი უგიზგიზებდა.

კანელზე დამკვრელმა მთელი ცხოვრება მშვენიერების სიყვარულში გალია და თუ რამ ებადა, ამ დიდ სიყვარულს შეალია.

მშვენიერების სიყვარულში თავგადადებულს, წამებულსა და სანახევროდ მშიერ-მწყურვალს მიწიერი ცდუნებანი არად ულირდა, რამეთუ მხოლოდ სულიერი ბედნიერებისაკენ ილტვოდა.

ხელოვნების მოთაყვანემ, მთელი ქვეყანა იმ ერთადერთი მიზანსწრაფვით შემოიარა, რათა ყველაზე სახელგანთქმული ოსტატებისთვის მოესმინა და მათი ხელოვნების მშვენიერებით დამტკბარიყო.

მხოლოდ ხელოვნება ესახებოდა უნეტარეს ღვთაებად. მხოლოდ მშვენიერებაში ეძიებდა ხსნასა და იმედს. მშვენიერება იყო მისთვის წამება და სილამაზე, სიცოცხლის არსი და იდუმალება. იგივე ხელოვნება უჩნდა ცოდვათაგან განწმენდის საშუალებად და როგორც კი ბავშვობისდროინდელი უმანკოება მოესურვილებოდა, უმალ მშვენიერებისაკენ მიაპყრობდა გულისყურს...

იხმო იგი უფალმა თავისთან და უთხრა:

— ქვეყნიერება მოხუცდა! ახლა მხოლოდ ბავშვების იმედითღა ვართ. სითბოსა და გრძნობისაგან დაიცალა კაცობრიობა... მხოლოდ წამება თუ გამოიღებს ნაყოფს! ქვეყნიერებამ კვლავ უნდა მოინანიოს ცოდვა თვისი. თავადაც ხედავ, სამყაროში მე ერთადერთი შვილის ამარა ვარ, ამიტომ შენ გიშვებ ხალხთან, რათა აუწყო მათ ახალი რჯულის მოძღვრება ისე, როგორაც მე ჩავაქსოვე იგი შენი კანელის სიმებში. და ვიქნები მე შენს გვერდით ქვეყნის კიდემდე!

ისმინა რა ხმა უფლისა, მუსიკოსი მორჩილად გაემართა ხალხისკენ. გადაიარა უთვალავი გზა და ბილიკი, ნახა დიდი და პატარა ქალაქები, ღატაკნი და ყელამდე სიმდიდრეში ჩაფლულნი. ყოველთვის, როდესაც თავის კანელსააჟღერებდა, ადამიანები ჩერდებოდნენ, მის თეთრ წვერსა და ნაოჭებით დაღარულ სახეს თანაგრძნობით, სიბრალულით აღსავსე მზერას მიაპყრობდნენ, მერე კი ჯიბეებს მოიქექავდნენ და კანელზე დამკვრელს ფეხებთან ხურდა ფულს უყრიდნენ.

ყველგან, სადაც კი მუსიკოსი კანელზე უკრავდა — ქალაქებსა თუ სოფლებში, მის ირგვლივ თავს იყრიდნენ საკრავის ჟღერადობითა და თითების სიმარდით მოხიბლული ცნობისმოყვარენი და მოწყალებას იღებდნენ. მაგრამ უზომოდ გაოცებულთ ბრაზიც ერეოდათ, როცა ხედავდნენ, თუ რა გულგრილად ტოვებდა მტვერში დაყრილ ხურდა ფულს მუსიკოსი. ამის გამო მასხარად იგდებდნენ, აგინებდნენ, დასცინოდნენ.

დაღონებული მუსიკოსი ერთი ქალაქიდან მეორეში დაეხეტებოდა. მაგრამ რა! ყველგან მათხოვრად თვლიდნენ და სასაცილოდაც არა ყოფნიდათ.

ერთხელ დაღლილ-დაქანცულმა გზის პირას ჩამომჯდარი მგზავრი შენიშნა. მუსიკოსიც მისკენ გაემართა, გვერდით მიუჯდა და საკრავი ააჟღერა.

დაკვრა რომ დაასრულა, თვალებგაბრწყინებულმა მგზავრმა ასე მიმართა:

— კეთილო მუსიკოსო! მადლობელი ვარ, რომ ჩემთვის კანელი ააჟღერე, და კიდევ უფრო ბედნიერი იმით, რომ სამაგიეროდ ვერაფერს მოგართმევ, რადგან მთელი ქვეყნის სიმდიდრის მფლობელიც რომ ვიყო, სულერთია, შენს წინაშე მაინც ვალში დავრჩებოდი... და[illegible]ხრებული ვიყავი და გამამხიარულე! მშიოდა და მშიერი დამავიწყე! წყურვილით ყელი მიშრებოდა და სადღაც გაქრა წყურვილი! ო, კეთილო მუსიკოსო! წამოდი, ერთად ვიაროთ!

და მუსიკოსი გაჰყვა მგზავრს.

ესტონურიდან თარგმნა
**ამირან კალაძემ.**

[1] კანელი — ესტონური ხალხური საკრავი.



# შატილი, 9 ოქტომბერი, 1982



რესპუბლიკის ხელმძღვანელები ხევსურეთში

მურმან ჩარუას ფოტო

ეროვნული
ბიბლიოთეკა







ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ-ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲢᲨᲘ.

ანატოლ რუხაძის ფოტო.

სკოლის ხშირი სტუმარია კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე.

ჟღერს არფა.

პედაგოგი მარინე ოცხელი გაკვეთილზე.

ბავშვთა ვოკალური ანსამბლი „ია“ ტელესტუდიაში.

გეოგრაფიის გაკვეთილზე.







დარეჯანის სასახლე.

თარხან არჩვაძის ფოტო.

## შემოდგომა

ანატოლ რუხაძის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა









ეროვნული
ბიბლიოთეკა




# თბილისის მეტრო

თბილისელი ბავშვები სიამოვნებით მგზავრობენ მიწისქვეშა ცისფერი ექ-პრესით.

თბილისის განაპირას.

სისწრაფე.

მგზავრთა ნაკადი.

ანატოლ რუხაძის ფოტო.





# თეთრი დაინა დონელაიტისზე

ვლადიმერ ალფენიძე

1964 წელს მშვიდობის დაცვის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით აღინიშნებოდა კაცობრიობის უკვდავი შვილების მთელი თანავარსკვლავედის სახელოვანი იუბილეები. იმ წელს კაცობრიობამ ერთხელ კიდევ შეამკო დაფნის გვირგვინით უილიამ შექსპირი და მიქელანჯელო ბუონაროტი, ვილიამს ჰოგარტი და გალილეო გალილეი, კრისტიონას დონელაიტისი და ტარას შევჩენკო, მიხეილ ლერმონტოვი და ჟან ჟორესი...

იმ წელს ქართულ ენაზე ითარგმნა კრისტიონას დონელაიტისი. გამოჩენილმა მწერალმა-აკადემიკოსმა გრიგოლ აბაშიძემ და ჩვენმა სასიქადულო პოეტმა რევაზ მარგიანმა რუსთაველის ენაზე აამეტყველეს ლიტვური ლიტერატურის ფუძემდებლის, ლიტველი ხალხის დიდი ეროვნული პოეტის კრისტიონას დონელაიტისის უკვდავი, საოცრად რეალისტური პოემა „წელიწადის დრონი“.

იმ წელს კრისტიონას დონელაიტისის დაბადებიდან 250 წლის თავს აღნიშნავდნენ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

ამ სტრიქონებს კი იმ დროს ვწერ, როცა ახლოვდება დიდი ლიტველი პოეტის დონელაიტისის დაბადების 270 წლისთავი. ბუნებრივია, მახსენდება ოციოდე წლის წინანდელი საიუბილეო ზეიმი, მუდამ მომხიბვლელი და განუმეორებელი ვილნიუსი ორმაგად ლამაზი იყო იმ დაუვიწყარ დღეებში.

ის იუბილე კრისტიონას დონელაიტისის მეორედ დაბადებას ჰგავდა.

ჭექა-ქუხილით გადაუარა მისმა ლექსმა მსოფლიოს ლიტერატურულ მერიდიანებს.

ლიტველები მეტად გულთბილი ხალხია. გამაოცა მათმა ნიჭმა, თავაზიანობამ, კაცთმოყვარეობამ, ლიტუანიკისადმი ფანატიკურმა სიყვარულმა.

ლიტველის ყური მუდამ არის მიპყრობილი მეგობრის სიტყვისადმი, ლიტვის სმენა რადარივით გრძნობს მეგობრის გულის ფეთქვას დედამიწის ყველაზე შორეულ მერიდიანებზეც კი.

ლიტვაში გაღმერთებულია დონელაიტისი.

ლიტველების დიდმა სიყვარულმა თავისი პირველი ეროვნული პოეტისადმი განაპირობა ის ფაქტიც, რომ იმ შორეულ 1964 წელს გამოჩენილმა პოეტმა ქალმა, კომკავშირის პრემიის ლაურეატმა იანინა დეგუტიტემ თარგმნა და გაზეთ „ტიესაში“ გამოაქვეყნა ამ სტრიქონების ავტორის ლექსი „თეთრი სიმღერა დონელაიტისზე“. ეს ნაწარმოები ეძღვნებოდა დონელაიტისის ქართულ ენაზე მთარგმნელებს გრიგოლ აბაშიძეს და რევაზ მარგიანს, ლიტველ მწერალს იოკუბას სკლიუტაუსკასს და ლიტველ ფილოსოფოსს ჰენრიკას ზიმანასს. ქართველმა პოეტებმა მშობლიურ ენაზე გამაცნეს დონელაიტისი, ჰ. ზიმანასმა და ი. სკლიუტაუსკასმა დონელაიტისის ლიტვური სამყარო დამანახეს.

გამიკვირდა, თბილისში ხმადაბლა ნათქვამი სიმღერის ექო ვილნიუსს რომ მისწვდენოდა.

კორნეი ჩუკოვსკიმ ერთ თავის წიგნს „ჩემი უიტმენი“ უწოდა. ეს სავსებით გასაგები პოეტური ლოგიკაა. ყველა თაობა თავისებურად აღიქვამს გენიალურ პოეტთა შემოქმედებას. მეც მინდა „ჩემს დონელაიტისზე“ გესაუბროთ, დონელაიტისის ჩემეულ გაგებაზე. ამიტომ დავწერე:

## თეთრი დაინა დონელაიტისზე

შენს სტრიქონთ შორის, კრისტიონას, წუხელ თვით ღმერთი
ეძებდა სიტყვას.
აპირებდა შენთან აიტისს.
ცისგან რჩეული პოეტებში შენ იყავ ერთი,
გეძახდა ღმერთი ღრუბლებიდან: — დონელაიტის!
შენ მთვარის ნამგლით მკიდი წუხელ მწიფე თავთავებს,
შენს ლექსს რომ ესხა,
ღმერთი ცის ჯვარს გიწვდიდა შორით.
შენ რუტას კრეფდი — მთვარის ყვავილს,
იქ, ცის სათავეს...
და ლექსს — ციურ პურს მრევლს უყოფდი ღმერთების სწორი.
შენ, კრისტიონას, ბიბლიური ლიტვის ფიჭვები
სტრიქონში შეგყვნენ...
შენ მათ ფესვებს ხელი შეახე.
ხმა გესმა ციდან: — შენ ცის ცეცხლში არ დაიწვები,
დონელაიტის, სალვთიმშობლო შენ ხარ ვენახი!
ვარსკვლავთლურსმულით გადაწერა ცამ შენი ლექსი.
ელვად გაეკრა ცას
ღვთიური კალიგრაფია.
ორასი წელი შენს სტრიქონს ცის კურთხევა ესმის,
მის წასაკითხად თვით ღმერთები მოისწრაფვიან.
წუხელ დავსველდი ციურ წვიმით თუ შენი ცრემლით,
შენს სტრიქონებში წუხელ წვიმდა,
ცრიდა, მგოსანო.
— ამინ! — მოგძახდა ზეცა, ვითარც სამწყსოში მრევლი.
ღმერთი გეძახდა,
ცად გიხმობდა, გვირგვინოსანო!
ადგილის დედა
სტრიქონთ შორის რომ მოდიოდა,
პურსა თესავდა...
ძველ მუხნარში ორბი ყიოდა,
ადგილის დედა,
შენი ლექსით ცას შეჰკიოდა,
თუმც იღიმოდა, თვალებიდან ცრემლი სდიოდა.
გაცოცხლდა პწკარი, როს კურცხალი ცრემლის დაეცა,
შენს სტროფს სტრიქონი ნაკადულად ზღვისკენ გაექცა.
შენი სტრიქონი,
კრისტიონას, შეერთვის ნერისს.
შენი სტრიქონი მტკვარსაც ერთვის,
ჩემს სულშიც მღერის.
და შენს სტრიქონზე, ვით ლალ ტოტზე,
ბუდე ფრთოსნების
ბარტყებსა ჩეკავს.
კვირტს იყრიან შენი პწკარები,
ცასაც ნათელს ჰფენს, ბედნიერო მეფევ მგოსნების,
შენი სტროფიდან მომზირალი უფლის თვალები.
შენს სტრიქონთ შორის ძველი ლიტვა თვლემს.
ღვთიურ სიზმარს
დაღლილ რაინდის თვალით უმზერს.
ჭვრეტს გზებს ეკლიანს.
მეხი — შენი ხმა ჰეგზამეტრად ცას შეეხიზნა
და ელვაც შენი ლალი პწკარის ანარეკლია.
ძველ სალვთო ტყეში
მუხის ტოტზე მთვლემარე ორბებს
ელვა — სტრიქონთა ნათებისგან სუნთქვა შეკვრია.
კიდევაც მოვა გაზაფხული და გუთნისდედას, —
მზე ხნულის თარგად
შენს პწკარს უძღვნის — ერის მარჩენალს.
ინატრებს ხნულიც, ხარის თვალით ცას რომ შეხედავს,
შენი სტრიქონის გაგრძელებად ქვეყნად გაჩენას.
ოქროს საწმისის კოლხეთიდან მომაქვს სოსანი,
და დაფნა მომაქვს შენი შუბლის დასამშვენებლად.
ლიტვის პოეტო,
თავად ლიტვავ! — შენ ხარ მგოსანი,
ვინც დაიფერფლა ერის ტაძრის ასაშენებლად!
თითქოს ვნახე მე სხვა მიწა და სხვა ცა მაღალი,
ქრისტეს იონავ!
ქრისტეს მტრედო, ის ცა შენა ხარ!
მე ვარ კოლუმბი, ვინც იხილა მიწა ახალი,
შენ პოეზიის ამერიკის აღმოჩენა ხარ!

ვილნიუსი — თბილისი, 1964 წ.

გავიდა წლები. ლიტვაში იანინა დეგუტიტესეული თარგმანი დონელაიტისზე დაწერილი შედევრების გვერდით აღმოჩნდა დიდ საიუბილეო კრებულში. ეს იყო 1965 წელს. ის კრებული ჯერ ლიტვურ ენაზე დაიბეჭდა ვილნიუსში, ხოლო შემდეგ მსოფლიოს მრავალ ქვეყანას მოედო.

ის კრებული ამერიკის კონტინენტზეც ვნახე, მონრეალის უნივერსიტეტშიც 1967 წელს.

შემდეგ ლიტველმა მწერალმა იოკუბას სკლიუტაუსკასმა „თეთრ დაინას დონელაიტისზე“ დოკუმენტური ნოველა უძღვნა თავის წიგნში, რომელიც საქართველოსა და ლიტვის ურთიერთობას ასახავს.

ექო შობს ექოს, ასოციაცია — ასოციაციას.

ამას წინათ ბერლინიდან წერილი მივიღე. ახალგაზრდა გერმანელი პოეტი პეტერ როტერი მაცნობებდა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბალტისტიკის სამეცნიერო საზოგადოებაში ლიტველმა მწერალმა იოკუბას სკლიუტაუსკასმა გერმანულ ენაზე წაიკითხა ლექცია კრისტიონას დონელაიტისზე. და მაშინ სხვა მწერლების ნაწარმოებებთან ერთად მას გაუხსენებია „თეთრი დაინა დონელაიტისზე“.

გამიკვირდა ჩემი სტრიქონების ვილნიუსური თარგმანის ბერლინური ექოს ხმა. რამდენიმე დღის შემდეგ ვილნიუსიდან მოვიდა ამანათი — ლიტვური გაზეთი — „კომიანუიმო ტიესა“. ამ გაზეთში გამოქვეყნებულია პეტერ როტერის პოემა „დონელაიტისი“, აგრეთვე ფრაგმენტი პეტერ როტერის ბარათიდან ჩემდამი, რომელშიც მოთხრობილია როტერის პოემის დაწერის შემოქმედებითი ისტორია.

ლიტერატურული მერიდიანები მეგობრობის მერიდიანებად იქცნენ.

პეტერ როტერის წერილის ფრაგმენტი და მისი პოემა „დონელაიტისი“ უთარგმნია ლიტველ პოეტს იურგის კუნჩინასს, რომელიც გერმანული პო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ესტონელი მეგობრები

**ამირან კალაძე**

მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში ესტონელი ღატაკი გლეხების ერთმა ჯგუფმა „აღთქმული ქვეყნის“ ძებნაში საქართველოს მოაშურა; სწორედ იმ ხანებში, სწავლას მოწყურებული ბევრი ქართველი ახალგაზრდა ესტონეთში, ტარტუს უნივერსიტეტში გაემგზავრა.

დიდია ტარტუს უნივერსიტეტის ღვაწლი ქართული კულტურის განვითარების საქმეში. აქ, მეცხრამეტე საუკუნის დამლევსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში, ოთხასამდე ქართველმა მიიღო უმაღლესი განათლება. ტარტუს უნივერსიტეტში სწავლობდნენ საქართველოს სასიქადულო შვილები: კონსტანტინე ერისთავი, ერმალო თოდაძე, კოტე ფოცხვერაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი და სხვები. მეოცე საუკუნის დასაწყისში ტარტუში დაარსდა ქართველთა სათვისტომო, რომელმაც თავის დროზე დიდი როლი შეასრულა ესტონეთში ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციაში.

ტარტუს უნივერსიტეტსა და სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში დღესაც შეხვდებით ქართველ სტუდენტებს, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ სახელოვან წინამორბედთა ტრადიციებს. ისიც გვინდა აღვნიშნოთ, ქართველ სტუდენტთა საქმიანობას ყოველთვის თვალყურს ადევნებენ და მზრუნველობენ ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, ესტონეთის რესპუბლიკის მთავარი ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი შალვა გულორდავა და მოძმე ესტონეთში მცხოვრები სხვა ქართველები.

როდის და როგორ მოხვდნენ ესტონელები საქართველოში? რამ აიძულა ისინი ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე 3000 კილომეტრზე მეტი გზა გამოევლოთ და საქართველოში დასახლებულიყვნენ? ამასთან დაკავშირებით აი რას ვკითხულობთ ესტონეთის გამომცემლობა „ეესტი რაამატის“ მიერ 1980 წელს გამოცემულ ლემბიტ ვიიმეს წიგნში „გზა ახალი ცხოვრებისაკენ“:

„თავდაპირველად ესტონელები სოხუმის მიდამოებში დასახლდნენ 1882 წელს. ძალზე მძიმე და აუტანელი იყო ახალმოსახლეთათვის პირველი წლები: სიდუხჭირე, შეუჩვეველი კლიმატური პირობები, მალარია... მიუხედავად ამისა, 1886 წელს საქართველოს შავი ზღვისპირეთში გადმოსახლებულ ესტონელთა რიცხვმა 946-ს მიაღწია. მათ გადმოსახლებას ხელი შეუწყო იმდროინდელ ესტონურ გაზეთებში გამოქვეყნებულმა თბილისის გიმნაზიის მასწავლებლის ი. რეცოლდტის სტატიებმა, რომლებშიც იგი თავის თანამემამულეებს დაწვრილებით მოუთხრობდა აქაურ ტრადიციებსა და ყოფაცხოვრებაზე“.

ამას წინათ ჟურნალ „დროშის“ დავალებით, საქართველოში მცხოვრები ესტონელების მოსანახულებლად გავემგზავრე. გაგრის ქალაქკომის მეორე მდივანმა, ამხანაგმა რობერტ სიგუამ მირჩია, პირველ რიგში დაბა ლესელიძეში ჩავსულიყავი და ესტონურ სოფლებს ვწვეოდი. ქალაქკომში შევიტყვე, რომ აფხაზეთში უკვე შეუდგნენ ესტონური სოფლების დაარსების 100 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო სამზადისს. ეს იუბილე 1984 წელს აღინიშნება. საიუბილეო დღეებში საპატიო სტუმრებს მოიწვევენ ესტონეთის რესპუბლიკიდან. გაიმართება მეგობრობის საღამოები... ახალი ექსპონატები შეემატება თბილისის „ხალხთა მეგობრობის მუზეუმის“ ფილიალს ბიჭვინთაში, სადაც დიდი და საპატიო ადგილი უჭირავს კოლმეურნეობა „მეგობრობაში“ გაერთიანებულ ესტონელ კოლმეურნეთა ცხოვრების ამსახველ ექსპოზიციას.

შავი ზღვის წარმტაც სანაპიროს მივყვები. აი სწორედ ამ ადგილებში ცხოვრობენ ესტონელები. აქა გაშენებული მათი კოპწია სოფლები, რომელთათვისაც ესტონური სახელები დაურქმევიათ: სალმე, სულევი.

— ტერვისტ!

— ლაბდიენ! — ესტონურ მისალმებაზე ლატვიურად პასუხობს გიორგი ცინდელიანი, კოლმეურნეობა „მეგობრობის“ თავმჯდომარე, მზით გარუჯული ახალგაზრდა კაცი და თვალები ეშმაკურად უციმციმებს. სახტად დავრჩი. მგონი, ესტონურ კი არა, ლატვიურ სოფელში მოვხვდი-მეთქი გავიფიქრე. დაბნეულობა რომ შემატყო, გიორგიმ ჩაიცინა და ცოტა ხნის შემდეგ, ასეთი რამ მიამბო:

— სვანეთში დავიბადე და გავიზარდე. 1961 წელს ჯიხაიშის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის აგრონომიული ფაკულტეტი დავამთავრე. როგორც წარჩინებული კურსდამთავრებული, ლატვიის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში გამაგზავნეს სწავლის გასაგრძელებლად. აკადემიის დამთავრების შემდეგ დაუგავპილსის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“ გამანაწილეს მთავარ აგრონომად. 14 წელი ვიცხოვრე ლატვიაში და იქაური ენა კარგად შევისწავლე. საქართველოში შვიდიოდე წლის წინათ დავბრუნდი. ისე მოხდა, რომ აგერ აქ, ესტონურ სოფელ სალმეში დავსახლდი. ახლა რას ვფიქრობ, იცით? — ილიმება გიორგი, — რომ მცოდნოდა, ესტონურ სოფელში მომიწევდა ცხოვრება და კოლმეურნეობის თავმჯდომარედაც ამირჩევდნენ, ავდგებოდი და თავიდანვე ესტონეთის სასოფლო-სამეურნეო აკადემიას დავამთავრებდი.

— არც ახლაა გვიან ესტონეთში წასვლა და სწავლა, — შევეხუმრე თავმჯდომარეს.

— კი, ბატონო, ჩვენი პროფკავშირის თავმჯდომარე პლატონ ჯალაღონია თუ გამიშვებს, წავალ და ვისწავლი — ხელები გაშალა თავმჯდომარემ.

— ყველას ვერ გავუშვებ ესტონეთში, — ღიმილით ჩაილაპარაკა პლატონ ჯალაღონიამ და დააზუსტა, — გეცოდინებათ, ესტონეთში ყოველ წელს „სიმღერის დღესასწაული“ ტარდება, ჰოდა, მოაწევს დრო და ჩვენი ესტონელებიც მაშინვე დამესევიან, გინდა თუ არა, ტალინში უნდა წავიდეთ სტუმრადო: ზოგი საგზურს მთხოვს, ზოგი მივლინებას. თქვე დალოცვილებო, სასიმღეროდ ამ სიშორეზე წასვლას, აგერ აქ ვიმღეროთ ესტონური სიმღერები-მეთქი, ვურჩიე, მაგრამ გაგიგონიათ?

ყველას გაგვეცინა.

— ხუმრობა იქით იყოს, ერთი საერთო გასაჭირი ნამდვილად გვაქვს,—გააგრძელა პლატონ ჯალაღონიამ, — ყველა გულდაწყვეტილი ვართ იმის გამო, რომ თბილისის ტელეგადაცემებს ვერ ვნახულობთ დაბა ლესელიძეში და მის ახლომახლო...

— პატივცემული პლატონი მართალს ამბობს, გულდაწყვეტილიცა ვართ და ნაწყენიც, — საუბარში ჩაერია სახელგანთქმული მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლილი მაასიკასი, — სულ მალე, ჩვენი სოფლის დაარსების 100 წლისთავი უნდა ვიზეიმოთ. მოდით, ასე შევთანხმდეთ: ჩვენ, კოლმეურნეები ამ თარიღს დამკვრელური შრომით შევხვდებით, იმათ კი, ვისაც ეს ეხება, საიუბილეოდ საქართველოს ტელევიზიის გადაცემების მიღებით დაგვაჯილდოვონ, რას იტყვით?

რა უნდა გვეთქვა?! სახელოვანი მევენახე კოლმეურნეობის ყველა წევრის სათქმელს ამბობდა.

ვისარგებლე შემთხვევით და ლილი მაასიკასის ვკითხე:

— თქვენ აქ დაიბადეთ?

— დიახ, ისევე როგორც ჩემი მეზობელი ესტონელები, მეც აქ დავიბადე და გავიზარდე. ჩემი სამშობლო საქართველოა. სულევსა და სალმეში მცხოვრებ ყველა 200 ესტონურ ოჯახშიც ამასვე გეტყვი-

ემის თარგმანისადმი წამძღვარებულ ლიტერატურულ წერილში თბილად წერს „თეთრი დაინის“ შესახებაც.

ასე უფრთხილდებიან ლიტველები დონელაიტისზე დაწერილ ყოველ სტრიქონს.

არასოდეს დამავიწყდება ღვთაებრივი საუბრები დონელაიტისზე საოცრად ორიგინალური მხატვრის პიატრას რეპშისის სახელოსნოში, მისი ფრესკები ვილნიუსის ოთხასწლოვან უნივერსიტეტში, მისი სურათები დონელაიტისის გენიალური პოემის აკადემიურ გამოცემაში... რეპშისი ჩემთვის მეტად ახლობელი ადამიანი გახდა.

270 წელია ასე აძმობილებს ერთმანეთთან სხვადასხვა ქვეყნების და საუკუნეების შვილებს, სხვადასხვაეროვან ადამიანებს დონელაიტისის პოეზია. ეს იმიტომ, რომ უკვდავი პოეტი კრისტიონას დონელაიტისი ყველა თაობის თანამედროვეა, მისი გულის ცეცხლი, მისი პოეზიის ცეცხლი პრომეთეს ცეცხლივით ღვივის ჩვენს სულში...

მადლობა კრისტიონას დონელაიტისს. მადლობა იმათ, ვინც უკეთ დამანახეს დონელაიტისის გენია: ფილოსოფოს ჰენრიკას ზიმანასს, ღვთის მადლცხებულ პოეტ ქალს იანინა დეგუტიტეს, მწერალ იოკუბას სკლიუტაუსკასს, პოეტ იურგის კუნჩინასს, გერმანელ პოეტს პეტერ როტერს, მხატვარ პიატრას რეპშისს, მხატვარ ქალს ადა სკლიუტაუსკაიტეს...

ერთი პოეტისა არ იყოს, დონელაიტისი ლიტვაა, ისევე როგორც რუსთაველი საქართველოა, სერვანტესი ესპანეთია, შექსპირი — ინგლისი.

ამიტომ დონელაიტისი ისევე უკვდავია, როგორც თავად ლიტვა და ღვთაებრივი ლიტვური ენა...

ვილნიუსი-თბილისი.

# მოძმეთა მიწა-წყალზე

გიორგი შათირიშვილი

ყოფილხართ ლატვიაში? გინახავთ მისი მშვენიერი დედაქალაქი რიგა?

მიდიხართ ქალაქის ძველ შემოგარენში და თვალს იტაცებს ქვებით მოკირწყლული ვიწრო ქუჩაბანდები, წითელკრამიტიანი სახლები, კოხტა ეზოები.

ჩაათავებთ ძველ უბნებს. აუქცევთ გვერდს მდინარე დაუგავას სანაპიროს და ლარივით გაჭიმულ ფართო პროსპექტზე აღმოჩნდებით.

ერთმანეთს ენაცვლება მრავალსართულიანი სახლები, შადრევნები, სკვერები, მოედანთან მიჯრილი მაღაზიები, კაფეები...

აქეთ ხალხმრავალი ბაზარია, იქით ხომალდებით სავსე საზღვაო პორტი.

შეუძლებელია დაივიწყოთ რიგაში მოსმენილი საორღანო კონცერტები, შეუძლებელია დაივიწყოთ აქაური სუფთა და წყნარი ქუჩები, ბალტიისპირული პლაჟები, კეთილი და თავაზიანი რიგელი მასპინძლები.

გზადაგზა ლატვიელ მეგობრებისგან შევიტყვე, რომ რესპუბლიკას ერთ სულ მოსახლეზე რადიოაპარატურის გამოშვებით მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია. ისიც მითხრეს, თითოეულ მოსახლეზე რძის და ხორცის წარმოებით ლატვიამ უკვე გაუსწრო ინგლისს, საფრანგეთს, იტალიას, შვეციასა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებს.

რაოდენ სასიამოვნო იყო, როცა შევიტყვე, რომ ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთელი ბიუჯეტის მეხუთედი მეცნიერების და კულტურის განვითარებას ხმარდება.

...საღამოვდებოდა, როცა სალასპილსის დათვალიერება შემომთავაზეს.

სალასპილსი! აქ თითოეული გოჯი მიწა უდანაშაულო ადამიანთა სისხლითა და ცრემლით არის მორწყული.

რიგა-დაუგავპილსის ტრასის მეჩვიდმეტე კილომეტრზე გზა ტყისკენ უხვევს. აი, სწორედ ამ მიდამოებში მოაწყვეს ფაშისტმა დამპყრობლებმა საკონცენტრაციო ბანაკი.

სამამულო ომის წლებში დროებით ოკუპირებულ ლატვიაში 23 საკონცენტრაციო ბანაკი მოქმედებდა. მათ შორის ყველაზე დიდი „სალასპილსი“ იყო.

1941 წლის ოქტომბერში ჰიტლერელებმა სალასპილსის სასიკვდილო ბანაკს მავთულხლართები შემოავლეს, ააგეს ბეტონის კედლები, სათვალთვალო კოშკურებზე ტყვიამფრქვევები ჩამოამწკრივეს.

საკონცენტრაციო ბანაკში 45 ბარაკი იდგა. თითოეული მათგანი 200-მდე ადამიანისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ შიგ 500-800 ტყვეს ამწყვდევდნენ.

ლატვიაში პარპაშის დროს ოკუპანტებმა 600 ათასზე მეტი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. მათ შორის იყვნენ კაცები, ქალები, მოხუცები, მოზარდები, თოთო ბავშვები.

სიკვდილის ბანაკის — სალასპილსის ტერიტორიაზე ახლა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი მემორიალური ანსამბლია მოწყობილი.

უზარმაზარ სივრცეზე ერთმანეთის მიყოლებით მრავალი სკულპტურაა ჩარიგებული. მემორიალის ერთ-ერთ ქვაზე, რომელიც ზუსტად იმ ადგილას დგას, სადაც სახრჩობელა იყო აღმართული, წარწერაა: „აქ ხალხს სჯიდნენ იმისათვის, რომ უდანაშაულონი იყვნენ, რომ თითოეული მათგანი ადამიანი იყო და სამშობლო უყვარდა“.

ბევრი სტუმარი ჰყავს ყოველდღიურად სალასპილსის მემორიალს.

მოდიან სხვადასხვა ერის შვილები. მოდიან დიდები, პატარები, მოხუცები. სალასპილსის სიკვდილის ბანაკს სასწაულით გადარჩენილი ყოფილი ტყვებიც მოდიან.

მოდიან, რომ თავი დახარონ, ყვავილებით შეამკონ იქაურობა.

მოდიან, რომ დაძარღვული მუშტი შემართონ და ომახიანად თქვან:

— ადამიანებო, გვიყვარდეს ერთმანეთი!

— ადამიანებო, გავუფრთხილდეთ მშვიდობას!



ან. ჩვენ არა მარტო გვიყვარს აფხაზები და ქართველები არამედ უსაზღვროდ მადლობელიც ვართ, რომ საუკუნის წინათ, ჩვენი წინაპრები აქ ძმებად მიიღეს, ხელი გაუმართეს, მათი ჭირი და ლხინი გაიზიარეს. დღეს ჩვენ ერთმანეთის მხარდამხარ ვშრომობთ, ვცხოვრობთ და ვნათესავდებით კიდევაც. ასეთ ძმურ ვითარებაში, ჩვენმა ხალხმა თავისი ენაც შეინარჩუნა და ტრადიციებიც. ჩვენს შვილებს საშუალება აქვთ სკოლაში მშობლიურ ენაზე მოისმინონ ესტონური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები! სიამაყით დასძინა ლილი მაასიკასიმ.

— ჩვენი კოლმეურნეობა, რომელიც 1929 წელს დაარსდა, ფორმალურად როდი ატარებს „მეგობრობის“ სახელს, — სიტყვა ჩამოართვა თავმჯდომარემ, — საქმე მართლაც ბევრი გვაქვს: მევენახეობა, მეთამბაქოეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მებაღეობა, აი ჩვენი კოლმეურნეობის ძირითადი დარგები. მრავლად გვყავს სახელო ადამიანები, სოციალისტური შრომის გმირები, შრომის წითელი დროშის ორდენოსნები, საქართველოსა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საკოლმეურნეო შრომის დამკვრელები... აბა რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: ლილი და მაიმო მაასიკასები, მარგარიტა და რაისა კამები, ერნა იუჰანსონი, ოსვალდ ლექსი, ილკა ლოკი, ერბერტ კალმუსი, ნაიმა ლექსი, სალმე რიმპელი, ნუგის რადიკი და სხვები.

სალმესა და სულევში ბევრ საინტერესო ადამიანს შევხვდი.

გავეცანი უხუცეს ესტონელებს ავგუსტ ტინარტსა და ალექსანდრე ტიისმუსს, გავიცანი ქართული ენის შესანიშნავი მცოდნე, ახალგაზრდა ესტონელი ქალი ნელი როზინა.

სოფელ „ესტონკაში“ ახალი ჩასული ვიყავი, როცა კოლმეურნეობას ესტონეთის ტელევიზიის წარმომადგენლები პეტერ პენტლა და ჰელიუ ლუსიკი ეწვივნენ. ტალინელი და ჩვენებური ესტონელების ამაღელვებელი შეხვედრის მოწმე გავხდი. სტუმრები გაოცებულნი შეჰყურებდნენ „ესტონკელ“ ქალიშვილს ლინდას, რომელიც ქართულად ლაპარაკობდა, ხოლო ლენინის ორდენოსანი მწველავის ანეტა პერტაიას შვილი ლუბა—ესტონურად. ტალინელმა სტუმრებმა მალევე იგრძნეს, როგორ ძმურად უყვართ ერთმანეთი ქართველ და ესტონელ მშრომელებს; მათ მარტო კეთილი მეზობლობა როდი იკმარეს, ადგნენ და ერთმანეთის ენაც შეისწავლეს. ვახშამზე, როცა კოლმეურნეობა „ესტონკის“ თავმჯდომარემ ანზორ ჩიტაიამ ხალხთა მეგობრობის სადღეგრძელო შესვა, ყველანი ფეხზე წამოდგნენ და ერთმანეთს ძმურად გადაეხვივნენ. ეს იყო ჭეშმარიტად ამაღლებული წუთი!

სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ ხუტა კვაშალიამ სტუმრებს უამბო, რომ სოფელში ამჟამად ოთხმოცამდე ესტონური ოჯახია. მადლიერ მშრომელებს ახლახან ძეგლი აღუმართავთ იაან კილკისა და პეტერ პიირისათვის, იმ პირველმოსახლეთათვის, რომლებიც 100 წლის წინათ დასახლებულან აქ.

სოფლის ცენტრში კი, მწვანეში ჩაფლულ სკვერში, დიდ სამამულო ომში გმირულად დაცემული „ესტონკელი“ ვაჟკაცების ხსოვნისადმი მიძღვნილი ობელისკია აღმართული.

მეორე დღეს უხუცეს მასწავლებელს მარტინ როზენკრონს ვესტუმრეთ. პატივცემული მარტინი ამ ერთი თვის წინ, შვილებმა ესტონეთში წაიყვანეს. ეს ჭარმაგი კაცი იქაურმა შეუჩვეველმა კლიმატმა დასცადა. ჩემი საქართველოს ჰაერი მომარჩენსო, გაიძახოდა თურმე ჩვენს ხალხზე, მიწაზე და კულტურაზე შეყვარებული მოხუცი ესტონელი... პატივცემულმა მარტინმა სამახსოვროდ გადმომცა მის მიერ დაწერილი მონოგრაფია, სათაურით: „სოფელ „ესტონკის“ დაარსებისა და დემოგრაფიული განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა“. ამ ნაშრომში, ისტორიული ფაქტების ფონზე, საინტერესოდაა განხილული სოფელ „ესტონკის“ პირველმოსახლეთა ცხოვრება, საქართველოში მათი გადმოსახლების სოციალური მიზეზები. ავტორი სიყვარულით წერს სოფლის სასახელო ადამიანებზე. აქაც მრავლად ჰყოლიათ ორდენოსნები, სოციალისტური შრომის გმირები, საკოლმეურნეო შრომის დამკვრელები, აი, თუნდაც ვაიკე კნუტი, ერნესტ რაუდი, რობერტ კალა, დინა რაუდი, ნინა კალა, გილდა კინკსი...

# თბილისის მომავალი

## გვესაუბრება დედაქალაქის მთავარი ხუროთმოძღვარი

„თბილისმცოდნეობის დოქტორი“, აი, ასე მინდა მოვიხსენიო ხოლმე შინაურ საუბარში სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი, თბილისის მთავარი ხუროთმოძღვარი შოთა ყაველაშვილი.

პატივცემულ შოთას პირველად ოცდახუთი წლის წინათ ვეწვიე. ახალგაზრდა არქიტექტორი თავის ნათელ სახელოსნოში მუშაობდა რომელიღაც მოედნის რეკონსტრუქციის პროექტზე.

სწორედ მაშინ შევიტყვე, რომ შოთა ყაველაშვილი და მისი რამდენიმე მეგობარი თბილისის ძველი უბნების რესტავრაცია-რეკონსტრუქციაზე ოცნებობდნენ.

თბილისის ისტორიული უბნების ბედი დიდი ხანია აღელვებდა ჩვენს საზოგადოებრიობას. ამ საკითხზე ბევრი რამ ითქვა და დაიწერა. გადიოდა დრო, მაგრამ ნათქვამი და დაწერილი მხოლოდ ღაღადისად რჩებოდა...

1975 წელი დაუვიწყარი იქნება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქისათვის. ამ წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით თბილისის ისტორიული უბნები ნაკრძალად გამოცხადდა. დასაბამი მიეცა თბილისის ძველი უბნების მეცნიერულ შესწავლას, მათ თანმიმდევრულ, გეგმიან რესტავრაცია-რეკონსტრუქციას.

ამას წინათ ისევ ვეწვიე შოთა ყაველაშვილს. მარტო იყო. თავჩაღუნული იჯდა და მაგიდაზე გადაშლილ პროექტს ჩაჰკირკიტებდა.

მოვიკითხეთ ერთმანეთი, მოვისაუბრეთ და მაშინვე საქმეზე გადავედი:

— თბილისი თქვენი საქმიანობის მთავარი უბანია...

— უკაცრავად, — შემაჩერა მასპინძელმა, — ჩემი საქმიანობის მთავარი უბანი კი არა, მთელი ჩემი ცხოვრება.

ჩაფიქრდა და განაგრძო:

— ჩემი ოცნებაა, თბილისში ვაშენოთ ახალი ნარმტაცი კვარტალები, ძველ უბნებს კი საშვილიშვილოდ შევუნარჩუნოთ განუმეორებელი კოლორიტი, თავისი ეშხი და პეწი.

შოთა ყაველაშვილი თბილისის მკვიდრია. მამაპაპისეული ქალაქელი. რაც ბავშვობიდან უნახავს, განუცდია და გულთან მიუტანია, ყველაფერი ახლობელი, ძვირფასი და დაუვიწყარია მისთვის.

აი, ამიტომაც შეხარის ასე თბილისის ყველა ახალ ნაგებობას, ყველა ისტორიულ ძეგლს, ძველი უბნებისა და ქუჩაბანდების თითოეულ კუთხე-კუნჭულს.

თუ თქვენ რუსთაველის მოედნის მშენებლობაზე ანდა ძველი თბილისის ხარაჩოებით და[illegible] უბანში სისხამ დილით დაინახავთ გაჯში ფეხსაცმელამოგანგლულ, მაღალ, გამხდარ კაცს, რომელსაც სვანური ქუდი ახურავს და პირში ერთთავად სიგარეტი „პრიმა“ აქვს გაჩრილი, იცოდეთ, იგი თბილისის მთავარი ხუროთმოძღვარია.

ისიც იცოდეთ, როცა თავისი საქმიანობის შესახებ შეეკითხებით, შოთა ყაველაშვილი საკმაოდ თავშეკავებული და სიტყვაძუნწი კაცია.

ახლაც სიტყვაძუნწობს. ისევ მაგიდაზე გაშლილი პროექტისკენ აპარებს თვალს და მეუბნება:

— რა გითხრათ? რაც გაკეთდა, მე კი არა, უმჯობესია, თქვენვე განსაჯოთ და შეაფასოთ.

ვზივარ და გონებაში ნათლად ცოცხლდება თბილისის განახლებული ძველი უბნები. თვალს იტაცებს დარეჯან დედოფლისეული საჩინო, მეტეხის გასწვრივ კლდეზე გადმოკიდებული სახლები, რიკულებმოვლებული, ფერად-ფერადი თბილისური აივნები...

რამდენი ფიქრი, შრომა და ენერგია დასჭირდა, რომ ძველებური კოლორიტით გაცოცხლებულიყო ბარათაშვილის ქუჩა, კიბალჩიჩის აღმართი, სირაჯხანა, რიყე, ანჩისხატის უბანი, ის კომპოზიციურ-გამომსახველობითი შესაძლებლობანი, რომლებიც თბილისის ისტორიულ განაშენიანებაში იყო მიმალული...

— ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს აინტერესებთ, უახლოეს ხანში კიდევ რა გაკეთდება თბილისის ძველი უბნების გასაცოცხლებლად?

ახლა ველარ იტყვით, სიტყვაძუნწიაო ქალაქის მთავარი ხუროთმოძღვარი. შოთა ყაველაშვილი სიგარეტს აბოლებს და ნათლად, მკაფიოდ, ლაკონურად და შთამბეჭდავად მიხსნის მომავლის უახლოეს პერსპექტივებს.

— უკვე დავიწყეთ ქარვასლის, ერეკლეს აბანოს, ფორაქიშვილისეული სახლისა და მომიჯნავე ბანიანი სახლების სარესტავრაციო სამუშაოები. დიდი ყურადღება ექცევა ლვინის აღმართს, დუტუ მეგრელის ქუჩისა და სიონის სანაპირო ხაზის გალამაზება-განაშენიანებასა და აღდგენით სამუშაოებს.

ცალკე მინდა შევჩერდე ნარიყალაზე. იგი, ასე ვთქვათ, გვირგვინად დაადგება თავზე ძველსა და ახალ თბილისს. ამ ძეგლის ესთეტიკური სიდიადე განუზომელი და გრანდიოზულია. განზრახული გვაქვს ციხისა და გალავნის აღდგენა, გადარჩენილი ნაშთების გამოვლინება. დიდი ყურადღება დაეთმობა აგრეთვე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას, სხვადასხვა გასამაგრებელ სამუშაოებს.

უახლოეს წლებში იმუშავებენ ერეკლე მეორის მოედნისა და სიონის ქუჩის გარდასაქმნელად. ფუნქციებს შეიცვლიან მთელი რიგი შენობები. მაგალითად, დღევანდელი კამოს სახელობის ქარხანაში თეატრი ჩასახლდება, ერეკლეს მოედნის № 3 სახლში — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ინსტიტუტი, № 10 სახლში — საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმნის მთავარი რედაქცია. დანიშნულებას შეიცვლის შენობა, სადაც ამჟამად ქალაქის მილიციაა. უყურადღებოდ არ გვრჩება გოგირდის აბანოების უბნის რეკონსტრუქცია, განთქმული ფეთხაინის უბნის განახლება-განაშენიანება...

თბილისის განახლებულ ძველ უბნებში მრავლად იქნება ოქრომჭედლების, თერძების, ჭონების, მეთუნეების სახელოსნოები, რესტორნები, კაფეები, ძველებური თბილისური დუქნები, საჭაშნიკო — რუმბებით, ტიკებითა და დუდუკებით...

ამჟამად ყურადღების ცენტრშია სასტუმრო „ივერიის“ წინ რუსთაველის მოედნისა და მისი სატრანსპორტო მაგისტრალების სამუშაოები. მშენებლობაზე მაქსიმალურად არის გამოყენებული ამ ტერიტორიაზე არსებული ხევი, რომელზეც აღიმართება ქალაქის უდიდესი მოედანი. მის ქვეშ მოქცეული სივრცე სამ იარუსიან ესტაკადად იქცევა და 20 ათას კვადრატულ მეტრ სასარგებლო ფართობს მოგვცემს. ამ ფართობზე მოეწყობა კულტურულ-საზოგადოებრივი ცენტრი. მოედნის ფართობი ორ ჰექტარზე მეტი იქნება. მოედანს დააგვირგვინებს შვიდთალოვანი კორპუსი. ახალი მოედანი საზეიმო შთაბეჭდილებას დატოვებს თავისი ლამაზი შუქჩრდილებითა და შადრევნებით. მოედნის კომპლექსი გამდიდრდება ქანდაკებებით, გამწვანებით, სხვადასხვა მცირე არქიტექტურული ფორმებით. მოედნის ერთი ნაწილი მოძრავი სცენის პრინციპზე იქნება აგებული და ღია ცის ქვეშ სპექტაკლების დასადგმელად გამოვიყენებთ.

მოედანზე გაიმართება აღლუმები, დღესასწაულები, სახალხო სეირნობანი...

ყოველივე ზემოთქმულიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ქალაქის როგორც ძველ, ისტორიულ ნაწილში, ასევე ახალში, ყოველ ნამოწყებას შეაქვს თავისი წვლილი თბილისის მთლიანი, განუმეორებელი არქიტექტურულ-კომპოზიციური და თავისებური იერსახის გაუმჯობესებაში...

აი, ჯერჯერობით რა შემიძლია მოვუთხრო ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს.

...პატივცემულ შოთას თბილისის მშენებელთა და გარდამქმნელთა მთელ კოლექტივთან ერთად ახალ წარმატებებს ვუსურვებთ საშვილიშვილო საქმიანობაში.

**აგული დადიანი**





ფოტო

მიხეილ კვირიკაშვილისა

# ფანტასტიკური კომპოზიციები

მოსკოვში ჟურნალ „მოდელისტ კონსტრუქტორის“ რედაქციაში მურმანსკიდან წერილი მიიღეს. წერილის ავტორი ქალი იყო, პროფესიით მხატვარი-დეკორატორი.

ალევტინა პოლოვნიკოვა წერდა:

„ძვირფასო რედაქცია!

თქვენი ჟურნალის 1982 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებული ერთ-ერთი წერილი დეკორატიული აბაჟურების ოსტატს — თბილისელ სამსონ გოლეთიანს შეეხება. აქამდე მეგონა, ერთადერთი ადამიანი ვიყავი, რომელიც ძაფის ნარჩენებით დეკორატიულ აბაჟურებს ვაკეთებდი. თბილისშიც ყოფილა ამ საქმის ოსტატი. იგი ძაფის ფერადი ნაკუწებით თურმე კოხტა და გამძლე ორიგინალურ აბაჟურებს ამზადებს.

სამსონ გოლეთიანის მისამართი ჩემთვის უცნობია. გთხოვთ დამეხმაროთ, რომ თბილისელ ოსტატთან წერილობითი კონტაქტი დავამყარო და შემოქმედებით პაექრობაში გამოვიწვიო.

დარწმუნებული ვარ, იმ ქვეყნის შვილი, სადაც უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ შეიქმნა, უარს არ იტყვის ქალის მიერ შეთავაზებულ მეგობრობაზე“...

ალევტინა პოლოვნიკოვა, რა თქმა უნდა, არ შემცდარა.

როცა ანჩისხატის უბანში პატარა ეზოს ჭიშკარი შევაღე, სამსონ გოლეთიანს აივანზე შევასწარი თვალი.

მარტო არ იყო. კუთხეში მიდგმულ მაგიდასთან სამნი ისხდნენ: ახალგაზრდა ქალი, წვეროსანი ბრგე კაცი და ჩემი მასპინძელი.

— გაიცანით, — მოსალმების შემდეგ სამსონ გოლეთიანმა ახალგაზრდა ქალი წარმომიდგინა, — მურმანსკელი მხატვარი-დეკორატორი ალევტინა პოლოვნიკოვა. ეს კი მისი მეუღლე, მეცნიერი მუშაკი ალექსანდრე პოლოვნიკოვი გახლავთ.

მურმანსკელი სტუმრები თბილისში წინა დღეს ჩამოსულან. ბევრი რამ მოესწროთ: მასპინძელთან ერთად ქალაქიც დაეთვალიერებინათ, ფუნიკულიორზეც ყოფილან, მთაწმინდის პანთეონშიც, მცხეთის შემოგარენშიც.

ისხდნენ ახლა და თავიანთი გეგმების, დეკორატიული აბაჟურების დამზადების ტექნოლოგიის დახვეწაზე საუბრობდნენ.

— თბილისმა და თბილისელებმა მოგვხიბლეს.

— მოგვხიბლეს! — კვერი დაუკრა ალექსანდრე პოლოვნიკოვმა მეუღლეს და დასძინა, — პირველი სამადლობელი სამსონ გოლეთიანს ეკუთვნის.

— პატივცემულმა სამსონმა, რედაქციის დახმარებით, მურმანსკში მოგვაწვდინა ხმა. წერილები აფრინა, მთელი ოჯახი თბილისში მოგვიპატიჟა, მიგვიღო და მასპინძლობას გვიწევს.

* * *

სახლს, რომელშიც გოლეთიანები ცხოვრობენ, ეზო აქვს. პენსიონერ სამსონ გოლეთიანს ვაზიც გაუხარებია. სართულ-სართულ ასული, ეზოს კუთხეში თალარივით გადმობრუნებული ადესის მაღლარი.

ერთხელ, როცა მტევნები დაიმარცვლა, შეიმღვრა, დამძიმდა და შემწეობა ითხოვა, სამსონ გოლეთიანმა გადაწყვიტა, კიბეზე შემოემაღლებინა და დახუნძლული რტოები კანაფით ვაზის საბჯენზე მიემაგრებინა.

ალევტინამ იცის, აბაჟურების დამზადების იდეა პროფესიით აგრონომ სამსონ გოლეთიანს მტევნებით დახუნძლული ვაზის ძირში დაებადა და ცნობისმოყვარეობას ველარ იოკებს.

— მერე?

მერე ის გახლდათ, სამსონმა ბრეზენტის ძაფი მოიძია, ბურთს დასწვდა, რომ ა'ი გაძენძილიყო, ხელში შერჩენილი ბლუჯა ძაფი პატარა ბურთზე გადაახვია და...

აზრმა, რომელიც გონებაში ელვასავით გაკრთა, იმ დღის შემდეგ ძილი და მოსვენება დაუკარგა სამსონს.

— მერე?

მერე ის გახლდათ, სამსონმა პატარის ნაცვლად დიდი ბურთი აიღო, ბრეზენტის ძაფის ნაცვლად ფერადი ძაფის ხვეულა მოიმარჯვა. ბურთს ძაფი გადაახვია, ბადურასავით დაბურდა, წებო წასცხო, სახამებელი გადაუსვა და გააშრო.

როცა სამსონი შეეცადა, ბურთი დაეჩუტა და გამკვრივებულ ბადურაზე საგანგებოდ დატოვებულ ფოსოდან გამოეძრო — არაფერი გამოვიდა.

წებოს გაეჟონა. ბურთის და ზედ მიწებებული გამკვრივებული გარსის — მომავალი აბაჟურის ერთმანეთისგან დაშორება შეუძლებელი გახდა.

ისევ გატყდა ლამე. ფიქრს ფიქრი აება. დაიწყო ძიება, ცდები, საჭირო მასალის, ქიმიური შენაერთების დაუსრულებელი შერჩევა...

— ზუსტად ასეთ დღეში ვიყავი მეც!

ალევტინა საფეთქელთან ჩამოშლილ თმას ისწორებს და დასძენს:

— იცით, რაზე ვფიქრობ ახლა?

სიჩუმე ისადგურებს ოთახში.

— შევცქერი თქვენი ხელის შექმნილი ჭაღების, ბრების, ტორშერების, მაგიდის ლამპების, ღამის სანათურების აბაჟურებს და ჟურნალში დაბეჭდილი სიტყვები მახსენდება. რა სიტყვები?

წამოზეზევდა ალევტინა და ხმადაბლა თქვა:

— აი, ეს სიტყვები: „ასეთი აბაჟურები მსოფლიოში არავის აქვს. ქართველმა ოსტატმა სამსონ გოლეთიანმა ფანტასტიკური კომპოზიციები შექმნა“.

**ოთარ დემეტრაშვილი**



## მინიატურები

### მიწურში

ვეტერანთა დაკვეთით რადიოთი გადმოსცემდნენ სიმღერას — „მიწურში“.

მოგონებებს ორმოცდაათი წლის [illegible] ალრჩოლებულ და ჭრაქის მიბნედილი შუქით განათებულ მიწურში გადავყავარ. იქით ერთი მებრძოლი თავისთვის ჩუმად ღიღინებს ქართულ სიმღერას. სახე და ტანსაცმელი ომის ქარ-ცეცხლით აქვს შერუჯული, თვალები ნაკვერცხლებივით უელავს.

ეს შენა ხარ, რევაზ ჩხეიძე!

ერთ მიწურში ვცხოვრობდით, ერთ ქვაბუნიდან ვჭამდით და ვსვამდით, ბრძოლაში ერთმანეთს არ ვცილდებოდით, — მე მოსკოველი ყმაწვილკაცი, შენ — კავკასიის მთების შვილი. ერთად გავლიეთ მძიმე მხედრული გზა მოსკოვიდან შპრეემდე...

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. ჟღერს სიმღერა „მიწურში“ და ცოცხლდებიან მათი სახეები, ვისთანაც მიბრძოლია, ვისთანაც ერთად გამიტანია ეს სიმღერა „მოსკოვის მახლობელ თეთრყირმიზა ველებზე...“

### სურათი

ჩემს საოჯახო ალბომში ძევს ძველი სურათი. სამნი ვართ გამოსახული: მე, ჩემს გვერდით თანაპოლკელი ყაზახი კაისა მამედოვი და ქართველი რევაზ ჩხეიძე. გვახურავს პილოტური ქუდები, მგზნებარედ ანათებენ ჩვენი თვალები.

შორეულ ორმოცდასამიდან მიყურებენ ისინი.

ალბათ რევაზისა და კაისას ოჯახებშიც აქვთ ასეთივე სურათი...

მარადი ძმობის, უკვდავი გრძნობისა და სიყვარულის სურათი.

### იშვა ადამიანი

იშვა ადამიანი. სამყაროს შეხედა გაზაფხულის ცვარივით ანკარა თვალებით.

იშვა ადამიანი. დადგა ფეხზე და გადადგა პირველი ნაბიჯი.

იშვა ადამიანი. რა ჰქვია? გლები, ანდრეი, მირზა, რაშიდი? არ ვიცი. ვიცი, რომ ადამიანია.

იშვა იგი. ხელს მზეკენ იწვდის, ლაღად რბის გზაზე.

იშვა ადამიანი. დაე, მარადის ანათებდეს მას დედის ღიმილის კეთილი შუქი.

**იოსებ სვეტლიჩნი**

მოსკოვი.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორისტული მოთხრობა

# თექვსმეტი მწყერი



ვალერიან კანდელაკი

მამამ სამზარეულოში თექვსმეტი მწყერი შემოიტანა და დედაჩემს გობზე დაულაგა. ღუმელზე ლომს, ინდაურს ბაჟეთი და მაცივარში სადესერტოდ ჩაცვარულ ლელვს მწყერმა ეშხი და მაზა შემატა.

მწყერი უსტუმროდ არ იქნებაო, თქვა მამაჩემმა. — მოკალი და მარტოხელას ნუ ასადილებ. არც ჰაიჰარად სუფრაზე ვინმეს შემოისვამს, — იხტილატის შერჩევა იმ ერთი საქმიანი პრეზიდიუმის შედგენაზე ადვილი საქმე როდიაო, სუფრაზეო კიდევაც უნდა თქვა და კიდევაც ჭამოო; ამაზე რას შეაჩერებ, — სტუმარი სწორი სინტაქსით თუ არ მეტყველებს და ქვემდებარეს სადაც მოეპრიანება იქ ურთავს — მტრისას, ჭამის მადა უნელდება და მერე, — ეს ტიალი ვინ ოხერმა მოიყვანაო, იქვე ჩაილაპარაკებს.

„ბოშოს“ გაგონებაზე კაცი ჭკუიდან იშლება, — ეს ულმერთო, როდის აქეთ დამიძმაკაცდა, რატომ არ მახსოვსო, ისე იკითხავს, ხმამაღლა, რომ „ბოშოს“ მთქმელს არც არაფრად ჩაგიგდებს...

— მწყერი უსტუმროდ არ იქნებაო, — მას მერე ქუჩაში ვდგავარ და, კიდევაც დამთავრდა სამუშაო საათი. ჩვენი ქალაქი იმდენად პატარაა, რომ მანქანიანი ნომენკლატურა არა ჰყავს, ყველა ფეხოსანი აკაციებით გადახურულ ამ ერთ ქუჩაზე მოაბიჯებს. ყველა ნაცნობია, ყველა კეთილი და ყველა მშიერი, თუ დაპატიჟებაა ყველას ერთად უნდა მოხვიო ხელი, მაგრამ ამას არც ის თექვსმეტი მწყერი ეყოფა და ვერც მამაჩემის დაუწერელი კანონი მიესადაგება, წინასწარ აბა რა ვიცი, ვინ სად ჩაურთავს „ბოშოს“ ან ქვემდებარეს და, ამას გარდა, კიდევ ვის რა მოუვლის თავში.

ყოველი კაცი კაკალ-კაკალ უნდა შევამოწმო და მერე საზამთროსავით გამოვარჩიო, სულ ერთი შეხედვით; ეს იყო და, ნიკოკა ბურძგლას კიკირიკო ჩხირივით მომხვდა თვალში, სასწაულად გაზრდილა. ბიბლიოთეკარად მუშაობს კულტურის სახლში, მაგრამ ბიბლიოთეკარებს ვილა პატიჟებს. ყველას თავისი უმანკო ბიბლიოთეკა აქვს შინ; ეს უპატრონო, მანქანის ნაწილების მაღაზიის გამყიდველი მაინც იყოს. კიდევაც რომ მკითხოს, — რატომ მპატიჟებო, რა ვუპასუხო? მისალმებაც კი ვერ მოვასწარი, თვალსა და ხელს შუა გამიქრა კაცი, ალბათ პორფილე პაჭკო თუ გადაეფარა, მამაჩემი პორფილეს გვარს მუდამ ასე შემოკლებით ამბობს, პაჭკო ჩემს დანახვაზე მდუღარეში ჩავარდნილ ქათამივით აფართხალდა, შაქრიანი ღიმილი მომაყარა, სულ სათითაოდ მოიკითხა მშობლები, კოსტუმი აცვია, თუმნიანებით გეგონება შეკერილი, მაგრამ სიტყვა ვერ დავძარი, — ნამობრძანდით, მამა გპატიჟებთ-მეთქი, ვერ ვთქვი. პაჭკო სერიოზული კაცი რომ იყოს, მამაჩემი ასე ულმერთოდ გვარს არ გადაუჭრიდა. კაცი შაქარივით სიტკბოს მაფრქვევს. მე ქვის გული ჩავიდგი.

— თქვენს მოკითხვებს ყველას სათითაოდ გადავცემ. — შევპირდი და საჩქაროდ გავშორდი.

ახლა პროკლემ დამასწრო სალამი, ბარე ათი წელიწადი მამაჩემთან მუშაობდა, გაპრიალებული მაგიდები გვერდი-გვერდ ედგათ; გადამეხვია, ბებიაჩემიც კი გაიხსენა ხვარბეთში, მაგრამ კერპად გარდავიქმენი. ეჭვსაც ვერ აილებს, რომ ახლა, ამ პიკის საათზე ჩემსას თექვსმეტი მწყერი შიშინებს ტაფაზე.

აბა როგორ დავპატიჟებდი თუ კაცი ცხვირს აქშუტუნებს და ტუჩებს კურდღელივით აცმაცუნებს, ეს ფაქტია, ამას ვერ მოიშლის (ცალკე სუფრაზე ხომ არ დავსვამ?).

აგერ სიმონიკა ნალმოსანიძე მოარღვევს ქუჩას, მშიერია და საკბილოს ეძებს, მაგრამ მთლად რომ გაწყდეს სტუმრის ჯილაგი, მაინც ვერ დავპატიჟებ, ტრაბახით აგვიკლებს, — ერთხელ, შორეული ცურვის მეზღვაური რომ ვიყავი, კუნძულ იავაზე ლუზა ჩავუშვიო და, მაშინ იყო, იავის ჭაობებში ორი დრაკონი შემომაკვდაო. ამასაც არ დაჯერდება, მამალი დრაკონის გაწაკაწრსაც გვიჩვენებს მარჯვენა მკლავზე და ბოლოს, ამ უბრალო სადილს ქეიფად გადაგვიქცევს, თამადობასაც ხელში ჩაიგდებს და ყოველ სადღეგრძელოზე ჭიქის ბოლომდე დაცლას დაგვაძალებს. სათითაოდ დაგვკითხავს, — მწყერი სად ვიშოვეთ, საიდან მოფრინდა, რომელ მხარეს მიფრინავდა და რომელი კალიბრი ესროლეთო. არ ვიციო, — არ იკმარებს. ეს ზნე ჭირს და გავუყუჩდი.

სიმონიკა ნალმოსანიძემ რომ ჩაიარა, აპოლონი ჩამიდგა თვალში. ერთ-ორ ჭიქას დალევს და ტირილს აიტეხს, ვინც კინმე დაჰკარგვია, პირველი მსოფლიო ომიდან დღემდე, სუყველას ხელახლა დაიტირებს. ვუთანაგრძნობდი, მაგრამ ხომ ჩაგვიშხამდა მწყერი? მუნჯივით დავშორდი.

ზალიკა დაურაშვილი მთელ ქალაქში მახვილსიტყვაობით არის ცნობილი. მოდის და მოიცინის. მეც იმ ღიმილით ვუპასუხე, — როგორ ბრძანდებით, ბატონო ზალიკა-მეთქი. — ისე როგორც უჭმელ-უსმელი კაცი პიკის საათზეო. კლასიკური კანდიდატია, მაგრამ ზალიკას ხუმრობას ვერ ვიტან: ყოველ სიახლეზე — დაგვიჭერენ ბიჭოო; გეგონება ქვესკნელიდან ხითხითებს. ვინ რას ვამბობთ დასაჭერს. მთელი ცხოვრება შეუბორკავი და დაუჭერელი დაყიალობს მზიან ქვეყანაზე. მუქარა ხუმრობითაც აუტანელია, მამაჩემი ვერ მოითმენს.

— გაგიმარჯოს! — მივაძახე კაკულიკას სალამზე. და სასწრაფოდ ზურგი შევაქციე...

—სალამი ყმაწვილოო! — დამძახა ჭოკის სიგრძე სიკოკამ სხვის მაგიერ, ზედაც არ შევხედე ისე მივუგდე პასუხი. ყოვლად გახრწნილი ჭკუისაა, — ალბათ, ვჭირდები და მთაფლავსო, — ამაზე უკეთესს ვერაფერს გაიფიქრებს.

აფრიკული პალმებით დამშვენებულ შესახვევს — ეს აკლდა და კიდევაც გამოჩნდა.

თითებს ნაგაჭრი და თვალებს დაგთხრი, ვითარცა სოლომონმა რაჭის ერისთავს როსტომსო, — მაგრამ შენც არ მომიკვდე, მუქარით ვერაფერს გახდნენ, ქურდობა ვერ მოაშლევინეს. მოქმედი პერსონაჟები დედანში რომ მდინარის პირას იხარჯებიან ეს, ჩვენი პლაგიატორი, შორს კი არ მიდის — მოქმედებას მთაში გადაიტანს, სახელს შეუცვლის, გვარსაც გადაუსხვაფერებს და ყველა იმ ნიშნით დააკაბადონებს, რაც პლაგიატორის ოსტატობის ფარგლებშია. ნამდვილად უმაღლესი დონის პლაგიატორია, მარტო ის რად ღირს, რომ ნაქურდალს გაქურდულს უგზავნის, — როგორ მოგეწონათო. მერე, როცა ნაქურდალი გამჟღავნდება, — იმისგან რომ მომეპარა, შესამოწმებლად იმასვე ხომ არ გავუგზავნიდიო. ამ გზით ბევრი მომჩივანი ჩამოიშორა და მოიმადლიერა კიდევაც, — შენი გავლენით ვნეროო. საქმეს სასამართლომდე არ მიიყვანს, დაზავებასაც მანამდე ახერხებს, ამითაც სახელი გაიგდო, პირველწყაროს ზოგიერთ ავტორს ხანდახან მოსწონთ კიდევაც — გასალების უნარი აქვსო და, გასაღებულის ნახევარ ჰონორარს დანიშნულებისამებრ პატრონს აძლევს. მამაჩემს ამას ვერ გამოვუჩენ, ნამეტანი შორს გავარდნილი სახელი აქვს, ვერც იმას დავუჩემებ, რომ პლაგიატორობა ამ ბოლო დროს ხელოვნების ერთ-ერთი დარგია-მეთქი...

ჩამოვწყდი მუხლებზე. კაცის დაპატიჟება თუ ამისთანა უსაშველო იყო, როგორ ვიფიქრებდი.

ამას კი აუცილებლად წავიყვან — ბენო ბუაძე — უპრეტენზიო, თავმდაბალი, წვერგაუპარსავი, კომუნალურ განყოფილებაში მუშაობს, შინ მიმავალს, მშიერს, საქმის ქაღალდები ახლაც იღლიაში აქვს ამოჩრილი.

— წამობრძანდით, მამა სადილზე გპატიჟებთ. — ვეუბნები მე.

— არაფრამდის, თქვენი ჭირიმე, დღეს კოხეის სეზონი იწყება! — მეუბნება ბენო ბუაძე კმაყოფილი ღლარჯვით.

— კოხეი?!

— დიახ, კოხეი. — იგივეს ამბობს, ვერ შეასწორა ათასჯერ გაგონილი სიტყვა.

— კოხეი?

— დიახ, კოხეი, ყინულზე სრიალებენ და შაიბას ურტყამენ კარში. როგორ არ იცით, მარსიდან ჩამოსულ მხეცებსა ჰგვანან. — განმარტავს ბენო ბუაძე.

— ჰოკეი?!

# ეჰ, თბილისის ძველი ჭრილობანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დოდო ზურაბაშვილი**

სიხარულით ვემზადები სახალხო დღესასწაულისათვის, თბილისობა რომ ენოდება, მე, როგორც თბილისის ძველ მკვიდრს და ბინადარს, მინდა გავიხსენო ზოგი რამ, რაც ჩემს ირგვლივ ხდებოდა.

1930 წელი. დღევანდელი ფიროსმანის ქუჩა, № 54. აქ იყო ჩვენი საცხოვრებელი სახლი.

როგორი იყო ეს უბანი?

წინ სადგურის შენობა იდგა, ერთსართულიანი. ირგვლივ ყველაზე მეტად თვალში გეცემოდა კურტნიანი მუშების დაუსრულებელი ფუსფუსი და მათი ძახილი: „მუშა! მუშჲ!“ მატარებლების წივილ-კივილი, სირენების გაუთავებელი გადაძახილ-გადმოძახილი, გამონაბოლქვი შავი კვამლი, სახეზე ჭვარტლად რომ გედებოდა...

სადგურის წინ რომ ქუჩა ჩადის და დღეს ჩელიუსკინელთა ქუჩა ჰქვია, მაშინ სადგურის ქუჩად იყო წოდებული.

დღევანდელი სადგურის მოედანი არ არსებობდა, იყო მხოლოდ ვიწრო, ოღროჩოღრო ქუჩა.

სადგურის წინ პატარ-პატარა დუქნები და საწვრილმანოები იყო ჩამწკრივებული, ტრამვაის ვიწრო ლიანდაგებზე მთელი დღე დაწკარუნობდნენ პატარა ვაგონები.

1931 წელს კუკიაზე, ანტონოვის ქუჩაზე გადავედით საცხოვრებლად. დილაადრიანვე ისმოდა ღრიანცელი: „მწვანილი, აბა, ქორფა მწვანილი“... აგერ, მეორე ბოხი ხმით გაიძახოდა: „ყვავილების მიწა, ყვავილების!“ ხმელ-ხმელი კაცი ყოველ დილით მოგზავნილივით გაიძახოდა: „ნახშირიიი!“ ყველაზე მეტად მაინც ულვაშებიანი, წარბებწამოსქელებული კაცისა გვეშინოდა, ეზოში რომ შემოდიოდა. თვალებს აქეთ-იქით მიაცეც-მოაცეცებდა და ნალვინევი ხმით ყრუდ დასძახებდა: „სტარიი ადიოშ!“.

ჩვენს ეზოს არც კინტო-ყარაჩოხელების ფოლორცი აკლდა: თავზე თაბახ შემოდგმულნი, ტანზე მოწკეპილი ახალუხით, განიერი შარვლით, უძირო წუღა-მესტით, ლოყაზე ხალით, ფართიფურთა, სწრაფი მოძრაობით და ენაწყლიანობით ეზოში რომ შემოიმართებოდნენ, პატარძლებს ისეთ კოცნას უგზავნიდნენ, ისე უჟუჟუნებდნენ თვალებს, სირცხვილით აწითლებული ქალები სახლებში შერბოდნენ.

ყველაზე საინტერესო სანახაობა გახლდათ აქლემიან ინდოელებთან შეხვედრა, რომელთა სტუმრობა თბილისს არ აკლდა. რას არ აკეთებდნენ? ხან ხანჯალს „გაიყრიდნენ ყელში“, ხან ჯამბაზობდნენ, ოინბაზობდნენ, ათასნაირი ილეთით ცდილობდნენ ხალხის ყურადღების მიპყრობას.

1932 წელს ხეთაგუროვის ქუჩაზე, ყოფილ რიყის ქუჩაზე, კულა გლდანელის ბინაში გადმოვედით საცხოვრებლად. ჩემი ჩუღურეთი, სადაც 40 წელიწადი გავატარე, ძველი თბილისის უბანია. ჩვენს ეზოში, წმინდა ნიკოლოზის ტაძარი იდგა, საიდანაც დღენიადაგ წირვა-ლოცვა და გალობა ისმოდა, სანთლისა და საკმეველის სუნი იფრქვეოდა.

ტაძრის შესასვლელის მარჯვნივ დაკრძალულია ერეკლე II-ის ბადიში.

დღეს კვლავ აღსდგა ამ ტაძრის ძველებური ეშხი და სიკეკლუცე. ტაძარმა დაიბრუნა პირვანდელი სახე, აღადგინეს კედელზე მოხატული გიგო ზაზიაშვილისეული თამარის სახე. ტაძარში ახლახან ფოლკლორულმა თეატრმა დაიდო ბინა, იმნაძისეული სახლი კი თეატრის ადმინისტრაციულ შენობად გამოიყენეს.

ვორონცოვიდან (დღევანდელი კარლ მარქსის მოედანი) ვიწრო ქუჩებით გადიოდა ტრამვაის ლიანდაგი პლეხანოვსა (ყოფილი მიხაილოვის ქუჩა) და ტოლსტოის ქუჩაზე. ამ ადგილებში საწვრილმანოები, სახელოსნოები და პატარ-პატარა მაღაზიები იყო. ტოლსტოის ქუჩაზე, „მეფისტოს“ სარდაფიდან დღენიადაგ მოისმოდა ხაჩიკ ტალგაუკოვის დუდუკის ხმა; ამ სარდაფის ხშირი სტუმარი გახლდათ საქართველოს ბულბული — ვანო სარაჯიშვილი.

ვორონცოვის ვიწრო ხიდთან მტკვრის ორსავე ნაპირზე წყალში საძირკველჩაზიდული სახლები იყო ჩამწკრივებული. მშრალი ხიდის ქვეშ კი, სადაც ახლა მოასფალტებული მაგისტრალი გადის, აშმორებული ჭაობი იდგა.

უჯებირო მტკვარი გაზაფხულზე რომ მოდიდდებოდა, რიყის ქუჩის მცხოვრებთა ბინებში შეიჭრებოდა ხოლმე.

სადაც ახლა ორსართულიანი ბარათაშვილის ხიდია, იქ რკინის ხიდი იყო გადებული დაკიდულ ბურჯებზე. ამ ხიდს „მუხრანის ხიდს“ ეძახდნენ.

ხიდის მარცხნივ, მაშინდელი ციციანოვის აღმართზე, წლიდანწლამდე რომ წყალი წვეთავს, ტრამვაი ძლივს მიხოხავდა, იქვე მოტრიალდებოდა და ისევ გრუხუნით ეშვებოდა თავქვე. ეს აღმართი მეტად ვიწრო იყო და მოუწყობელი.

გადაივლიდით „მუხრანის ხიდს“ და მინით გადახურული ბაზრის ჩაყოლებით რა სახის მოვაჭრესა და ხელოსანს არ ნახავდით. აქეთ, ოქრომჭედლებთან თავს იწონებდნენ ჯერ კიდევ მოკნეიწო ქალები. ისინი კოხტა თითებზე ბრილიანტებით მოჭედილ ბეჭდებს ირგებდნენ და ერთმანეთს აჩვენებდნენ, რჩევას ეკითხებოდნენ. კოპწია ქალები შუბლისქინძისთავებს, გულისქინძისთავებსა თუ გულქანდებს უკვეთავდნენ ოქროხელა ხელოსნებს და ისინიც თვალსაამებლად ამზადებდნენ სხვადასხვა საიუველირო ნივთებს. გვერდით იკერებოდა ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ღილკილოიანი ჩოხა-ახალუხები, ოქრომკედით მოქარგულმოსირმული ქართული კაბები... ერთმანეთთან მიჯრილიყო რკინაკავეულის ათასგვარი სახელოსნო, სამჭედლო, სამიკიტნოებში უკრავდა არღანი, კვნესოდა დუდუკი, ყოველ სარდაფსა და სახელოსნოს ფიროსმანის ანდა გიგო ზაზიაშვილის წარწერა ამშვენებდა.

ჩაუხვევდი ორთაჭალისკენ და მაშინვე თვალში გეცემოდათ გოგირდოვანი აბანოები — მიწაში ღრმად ჩაფლულები, მარმარილოს დერეფნებითა და დარბაზებით.

დაიწყო თბილისის რეკონსტრუქცია და მოკლე დროში მთლიანად იცვალა სახე ქალაქმა.

არ შემიძლია, არ გავიხსენო 26-ე საცდელ-საჩვენებელი საშუალო სკოლის მოსწავლეები, ჩვენი კომკავშირელები, დაზარება რომ არ იცოდნენ და ქალაქის რეკონსტრუქციაში თავიანთი წვლილი შეჰქონდათ.

ჩელიუსკინელთა ხიდის მშენებლობაზეც ჩვენი სკოლის კომკავშირელები ერთ-ერთი პირველნი გავჩნდით. გვინდოდა, მშენებლებს რაიმეთი მაინც დავხმარებოდით.

როცა მუშტაიდის ბაღში საბავშვო რკინიგზის გაყვანა დაიწყეს, იქაც პირველები გახლდით.

— რა მამითადი გავაჩაღეთ, აი, შაბათობაც ამას ერქვა! ერთმანეთს შრომაში ვეცილებოდით, ქეთო ვაჭარაძე და გოგი მირიანაშვილი, რიტა და თინა კეჭაყმაძეები, თაზო და ნიკო ლაპიაშვილები, ჯონი ხავთასი და ვახტანგ ოძელი, თამარ ქუთელია და ალიოშა ჯიმშელეიშვილი, ოთარ გოხელაშვილი და ანტონ ცინცაძე, ქეთო შელიავა და შარგო ინაური, გაიოზ ხატიაშვილი და ლია მანჯავიძე და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო.

ჩვენ გვიყვარდა ჩვენი ქალაქი და აკი არ ვრჩებოდით ვალში.

იმასაც ვიტყვი: ქუდბედიანები ვყოფილვართ ეს 1921 წლის თანატოლები. მუდამ სიყვარული, მეგობრობა, შრომა, სამშობლოსადმი ერთგულება იყო და არის ჩვენი თანამგზავრი. სამამულო ომშიც ამ სიყვარულით ეწირებოდნენ სამშობლოს ჩვენი ბიჭები. ახლა რომ წამოახედდათ მათ, სიხარულით აევსებოდათ გული, როცა ნახავდნენ, როგორ გაშალა ფრთები, როგორ გაიზარდა, და დავაჟკაცდა თბილისი, როგორ ვუვლით და ვეფერებით მის ახლად აღდგენილ ძველ უბნებს.

რა კარგი და ძლიერი ფესვები გაქვს, ჩემო ქალაქო!

---

— ყინულზე დასრიალობენ. — თავისას არ იშლის ბენო ბუაძე.

— მარსიდან ჩამოსულ მხეცებსა ჰგვანან? — არ ვეშვები ბენო ბუაძეს.

ამ გამოუსწორებელი „კოხეის“ დაპატიჟება ცოტა სახიფათოც კია, მაგრამ გავრისკე, — წამობრძანდით, ჩვენთან უყურეთ, თქვენ ხომ უსაქმლო ბრძანდებით, სამუშაოდან მოდიხართ, მწყერი მიირთვით, — არ ვეპუები „კოხეის“ გულშემატკივარს.

— წამოწოლილი მიყვარს ყურება. — ნამდვილად, გულწრფელად მიზეზობს, არ ცრუობს ბენო ბუაძე. მწყერი თუ არა, კუჭის ამოსაყორავი ხომ ელოდება, ამოიყორება და მერე ტელევიზორის ეკრანთან მიეგდება, ნებიერად, როგორც სურს ისე დადებს თავს მუთაქაზე, ეკრანზე დაქაჩულ თვალებს მიაჭედებს და ასე საბოლოო გამოშტერებამდე, ვიდრე ხვრინვას არ ამოუშვებს და, მერე იწყება, რაც იწყება — ძაღლის ყმუილი, თავს წამოჰყობს ჩხიკვი, აფთარი, მულტიფიკაცია შესძრავს მძინარეს. ვინ ითამაშა „კოხეი?“ ცოლს ეკითხება დილით. წამოწოლილი უყვარს ყურება.

კაცის დაპატიჟება თუ ასე უსაშველო იყო, რას ვიფიქრებდი. ტაფაზე შიშინი ისმის, ყველა თექვსმეტი მწყერი სტუმარს ელოდება.

— მარტო დაბრუნდი? — მეკითხება მამაჩემი.

— კი, ქუჩაში გასვლა დამაგვიანდა. — ვთქვი მე, — გამასწრეს. სიტყვას სიტყვა დავაწიე. ჩემმა პასუხმა მგონი შეაეჭვა.

— ვითომ ასეა, მთელ ქალაქში სუფრაზე დასაპატიჟებელ კაცს არ ვიცნობთ? — ისე იკითხა ჩემთვის არც კი შემოუხედავს.

— ხომ გითხარი, რა ხანია ჩაუვლიათ-მეთქი, — ვთქვი მე.

— კაცი არ შეხვდა. — ჩაიბუზღუნა მეორე პირში.

— მორთავდა ტირილს. — ახლა მე ჩავიბუზღუნე ჩემთვის.

— ეტირა. — თქვა მამაჩემმა თავისთვის.

— დაგვიჭერენო. — ვთქვი ჩემთვის.

— დავეჭირეთ. — დააძახა სუფრაზე შემოდგმულ მწყერებიან ტაფას.

— დაიწყებდა ქშუტუნს: — ჩემსას არ ვიშლი მე.

— როდის დაჩემდა? — მომხედა მამაჩემმა.

— თავიდანვე ასეა.

— არ შემიმჩნევია.

—მერე „კოხეი?“

— შენ რა ხელს შეგიშლიდა.

— წამოწოლილი?!.

ეს იყო და, ჩუმად ვსადილობთ, სუფრაზე თეფშების ხმა ისმის მხოლოდ. მამაჩემს მწყერისთვის ხელი არც კი უხლია, რა ჯაფა გადაგვხდა ქალაქში არავის გაუგია.

# [illegible]



მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელში ბევრი ქართველი ახალგაზრდა ეუფლება ცოდნას. მათი დიდი უმრავლესობა პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს, სწავლით, ყოფაქცევით, საზოგადოებრივი საქმიანობით მოწონებას და პატივისცემას იმსახურებს.

ჟურნალ „დროშის“ მკითხველებს ამჯერად რამდენიმე მათგანს გავაცნობთ.

* * *

ეს ამბავი მოსკოვის მახლობლად, სერპუხოვის საბჭოთა მეურნეობაში მოხდა.

შუაღამე გადასული იყო. მინდორში დაცემულ კარვებში სტუდენტებს ეძინათ.

შრომითი სემესტრი მთავრდებოდა. მოსკოვის მეორე სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტები რამდენიმე დღეში კარტოფილის ამოღებას დაამთავრებდნენ, სერპუხოვის დაემშვიდობებოდნენ და აუდიტორიებს მიაშურებდნენ.

ქარი ჩადგა. მინდორში ჩამოწოლილი მდუმარება მოულოდნელად კაცის განწირულმა ყვირილმა დაარღვია.

ყველა წამოიშალა. კარვებიდან გამოვარდნილი სტუდენტები ჯიხურთან მიიჭრნენ და საბჭოთა მეურნეობის დარაჯს შემოეხვივნენ.

— მიშველეთ! — ყვიროდა ჯიხურის გამოღებულ კართან ჩაჩოქილი დარაჯი, — მუცელში საშინელი ტკივილი დამეწყო... მიშველეთ!

სტუდენტები დაფაცურდნენ. ვიდრე სასწრაფო დახმარების მანქანა მოვიდოდა, მალხაზ კვარაცხელიამ დარაჯს წამალი შეუშხაპუნა, გაამხნევა, მეგობრებთან ერთად ხელში აიტაცა, ჯიხურში შეიყვანა და ტახტზე მიაწვინა.

— დაუყოვნებლივ ოპერაცია საჭირო! თქვა სასწრაფო დახმარების მანქანით მოსულმა ჰაღარა ექიმმა და სტუდენტებს გადახედა, — ყველა პროფილაქტიკური ღონისძიება სწორად ჩაგიტარებიათ. ყოჩაღ!

ეს იყო პირველი შექება.

— როცა დარაჯის გადარჩენის ამბავი შევიტყვე, ილიას სიტყვები გამახსენდა, — იხსენებს მალხაზი, — აი, ეს სიტყვები: „ცოდნა ყველაფერია: ფულზე უფრო დიდი, ხმალზე უფრო ძლიერი“.

ამ სიტყვებს კარგა ხანია ერწმუნა მალხაზ კვარაცხელია. ერწმუნა და არაფერი დაუზოგავს ყველაზე დიდი განძის — ცოდნის მოსახვეჭად.

ჯერ იყოდა, ზუგდიდის საშუალო სკოლა დაამთავრა წარჩინებით, მერე მისაღები გამოცდები ჩააბარა, მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა და მოწყურებული დაეწაფა ცოდნის წყაროს.

მალხაზ კვარაცხელია ახლა თერაპევტიული ფაკულტეტის მეხუთე კურსის ერთ-ერთი წარჩინებული და სანიმუშო ყოფაქცევის სტუდენტია.

გამოხდება ხანი. სერპუხოვში დამსახურებულ პირველ შექებას, ეჭვს გარეშეა, ახალგაზრდა სპეციალისტის მალხაზ კვარაცხელიას ახალი და დიდი გამარჯვებები მოჰყვება.

* * *

იმ დილით ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მესამე კურსელებს ინგლისურ ენაში ჰქონდათ ჩათვლა.

სტუდენტები ღელავდნენ: ინგლისურის მასწავლებელი მკაცრი ქალი იყო. მკაცრი და სამართლიანი. ჩაძიება უყვარდა, თითოეულ სიტყვაზე კირკიტი, სტუდენტებისგან ზუსტი და ამომწურავი პასუხების მიღება.

ვინ შევა პირველი?

ჯგუფორგმა დერეფანში შეკრებილ თანაკურსელებს გახედა და მზერა მაღალი ტანის ცისფერთვალება ქალიშვილზე შეაჩერა, — შეხვალ?

ქალიშვილმა თანხმობის ნიშნად დაუქნია თავი.

ხუთი, ხუთი კი არა, ალბათ სამი წუთიც არ იყო გასული, როცა აუდიტორიის კარი გაიღო და დერეფანში მაღალი ტანის, ცისფერთვალება ქალიშვილი გამოვიდა.

— რა მოხდა?

— არ მიგიღო?

— ჩაგჭრა? — სტუდენტებმა სეტყვასავით დააყარეს შეკითხვები წამოწითლებულ მეგობარს.

იცით რა მოხდა? ინგლისური ენის მკაცრმა და სამართლიანმა მასწავლებელმა ინგა კობაიძეს მატრიკულში უსიტყვოდ ჩაუწერა ჩათვლა.

მთელი სემესტრი მეცადინეობდა, დავალებებს ასრულებდა, რამდენჯერაც გაიძახა ყოველთვის ისახელა თავი და მუყაით სწავლას როგორ დაუკარგავდა ინგლისურის მასწავლებელი.

ინგა კობაიძე თბილისელია. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ორი წელი წარმოებაში მუშაობდა. ქართულ პერიოდულ პრესაში აქვეყნებდა პატარ-პატარა წერილებს.

მონდომა და თავისი გაიტანა: იმეცადინა, მოემზადა, მისაღები გამოცდები ჩააბარა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

— ინგა კობაიძე ისეთი ზრდილი, შრომისმოყვარე, ალღოიანი და ნიჭიერი სტუდენტია, კარგი ჟურნალისტი დადგება.

ეს სიტყვები უნივერსიტეტის გამოცდილმა პედაგოგმა, კურსის უფროსმა ლიუდმილა შარონჩიკოვამ გვითხრა.



* * *

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. გორბატოვი კმაყოფილია თავისი ასპირანტით.

მოხდა ისე, რომ გია ჯოხთაბერიძეს ვერ შევხვდი. იგი რაღაც სასწრაფო საქმეზე მოსკოვიდან გამგზავრებულიყო.

— შევეცდები, დაგეხმაროთ, — მითხრა პროფესორმა და გულისჯიბიდან ამოღებული ბლოკნოტი გადაშალა.



გია ჯოხთაბერიძემ თურმე სოხუმში ოქროს მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა. სწავლა თბილისში განაგრძო, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტზე.

— ჯოხთაბერიძე მოწოდებით კიბერნეტიკოსია.

— რატომ?

აი თურმე რატომ: როცა ფრიადოსანი სტუდენტი გია ჯოხთაბერიძე მეორე კურსზე გადავიდა, კიბერნეტიკამ გაიტაცა. არ დაუყოვნებია. განსხვავებული საგნები ჩააბარა და მართვის ავტომატიზირებული სისტემის განყოფილებაზე გადავიდა.

იმ დღიდან ნათლად გამოიკვეთა მიზანი: იმუშაოს, ეძიოს, შექმნას „გონიერი“ მანქანა, რომელიც პრაქტიკულ გამოყენებას პოვებს სახალხო მეურნეობაში.

რამდენიმე წლის წინათ გია ჯოხთაბერიძე მოსკოვის საინჟინრო ფიზიკის ინსტიტუტის კიბერნეტიკის კათედრაზე მიავლინეს სტაჟიორად.

აქაც იმარჯვა: წარმატებით ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმი და უგამოცდოდ ჩაირიცხა ასპირანტურაში.

ქართველი ასპირანტი რამდენიმე საყურადღებო მეცნიერული შრომის ავტორია. დისერტაციაც მზად აქვს. ეს სამუშაო გია ჯოხთაბერიძემ დაგეგმილ ვადაზე ერთი წლით ადრე დაასრულა.

— ზუსტი პორტრეტის დასახატად, ისიც უნდა გითხრათ, — პროფესორმა გადაშლილი ბლოკნოტი დაკეცა, გულისჯიბეში ჩაიდო და თქვა, — გია ჯოხთაბერიძე სიმპათიური გარეგნობის, წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცია, ტკბილმოუბარი, სათნო, თავდაჭერილი და კეთილი.

**მედეა კაიდია,**
„დროშის“ სპეციალური კორესპონდენტი.

## ლია ჭავჭავაძე

### სიყვარული

უცხო გალობა ისმის მუნჯების,
ცა არის სოსნით გადანაფერი,
მოჩანს ორი ფრთა ცის სილურჯეში,
მხოლოდ ორი ფრთა, სხვა არაფერი!

### ლეგის გახსენება გზაში

მზაკვარი ბედი ვის რას უმზადებს,
არავინ იცის, ლეგი,
ჩამონოლილან სულში ღრუბლები —
ნისლა, ლურჯა და ლეგა.
გზა საითაა, არავინ იცის,
არავინ იცის მეტი,
მომაგონდები შუაღამისას,
და ავტირდები, ლეგი.

### საყვედური მერის

დაუნანებლად როცა ვწირავთ,
წელში მოხრილი მიდის ღმერთი,
დედამიწაზე მოდის წვიმა —
გალაკტიონის დარდის წვეთი.

## ნიკო რეხვიაშვილი

* * *

ვარ უფლისწული მე ამ ზღაპარში,
ქრიან დღეები აფრიანები,
გახვეული მაქვს სული ლადარში —
ალბათ ერთხელაც ავბრიალდები!
ხვალის დღეები — ჩემი ვეფხვები
სულს ნაცარწაყრილ ცეცხლს უნახავენ,
კიდევ ბევრ ლამაზ დღეებს შევხვდები —
კოშკში ჩაკეტილ მზეთუნახავებს.
შენკენ მოვქრივარ და გულს გპირდები,
და მოლოდინის დარდით ვბრუვდები
მარჯვნივ, არც მარცხნივ, ჯიქურ—პირდაპირ...
დავბრუნდები, თუ არ დავბრუნდები!
მოვქრი ჯიუტად, ცაზე მზე ინვის,
გზებზე ბაღები სამოთხისანი,
და მრავალთაგან მარტო მე ვიცი —
სად დაეცემა ჩემი ისარი.
აკლდამას ჩემსას აგებ ლოდებით —
უკანასკნელად პირჯვრის მსახავო,
რომელ თარიღთან, სად მელოდები
— სიკვდილო, — ჩემო მზეთუნახავო!
მაგრამ მანამდე მე ჩემს ზღაპარში
ვიუფლისწულებ წლების ლანდებით,
გახვეული მაქვს სული ლადარში —
ალბათ ერთხელაც ავბრიალდები!

* * *

ლექსებს სისხლიანს, როგორც რიყრაყებს —
ჩემი ძარღვების სისხლით ნატბორებს,
— ხან გავაბრძენებ, ხან ვაგიჟმაჟებ
და უნუგეშოდ ვერ მივატოვებ.
ჩქარა მახვილი, შენზე ვარ გულით
მოშვერილი და ველი მოქნევას,
თითქოს ტრამალში ვარ დაკარგული...
(ხან თავხედი და ხან თავმოთნე ვარ).
თითქოს შემოვრჩი მარტო შამბიანს,
ველარ ვიგნებ და ვიკვლევ უკუნეთს,
ვინ გადამჩეხა, ვინ დამარბია,
მკერდში უდაბნოს ლომი ბუხუნებს.
ზეცა იქცევა ზრიალ-ზრიალით,
ნამეხარი და გადაბუგული,
წვიმა ჩამომდის ჩემი ზიარი,
და უმოწყალოდ ვარ გალუმპული.

# კათოლიკე მისიონერები საქართველოში

რომის იმპერიის ორ პოლიტიკურ ერთეულად გაყოფის (395 წ.) შემდეგ აღმოსავლეთ და დასავლეთ ქრისტიანულ ეკლესიებს შორის გაუთავებელი ბრძოლა წარმოებდა. ეს ბრძოლა დამთავრდა აღმოსავლეთის (მართლმადიდებლობა) და დასავლეთის (კათოლიკობა) საბოლოო გათიშვით (1054 წ.). საქართველო, როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის სამყაროს წარმომადგენელი ფორმალურად მოწყვეტილი აღმოჩნდა რომის კათოლიკური ეკლესიისაგან, სინამდვილეში ამ ეკლესიებს შორის კავშირი მაინც არ შეწყვეტილა. საქართველოს საერო და სასულიერო პირები ხშირად, ბიზანტიის გვერდის ავლით, ცდილობდნენ დასავლეთთან პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებას. მაგრამ ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების (1453 წ.) შემდეგ საქართველო მაჰმადიანური სახელმწიფოების რკალში მოექცა და დასავლეთ ევროპას ფაქტობრივად მოწყდა.

XVII-XVIII საუკუნეების მანძილზე დასავლეთ ევროპა არსებითად განსხვავდებოდა ჩამორჩენილი აღმოსავლეთის სახელმწიფოებისაგან, რომელთა გავლენა ან ბატონობა „ქართველობას" (საერთოდ მთელს ქრისტიანულ სამყაროს) მომავლის გზას უხშობდა, აფერხებდა მის შემდგომ წინსვლას. ამდენად, საქართველოში კათოლიკე მისიონერების საქმიანობა და მათთან კონტაქტები თავისებური ხიდი იყო ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო, კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის დასამყარებლად. ქართველი მეფე-მთავრების კეთილმა განწყობამ საფუძველი ჩაუყარა კათოლიკე მისიონერების მომძლავრებას საქართველოში.

საერთაშორისო მდგომარეობის გართულების გამო XVI საუკუნის II ნახევარში ევროპელ კათოლიკეთა გავლენა საქართველოში შენელდა, მაგრამ XVII საუკუნის დამდეგს, ევროპის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის გაცხოველებასთან ერთად, კვლავ აღდგა, რასაც ხელი შეუწყო მისიონერ პიეტრო დელა ვალეს მოხსენებამ რომის საეკლესიო ცენტრის სახელზე საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის შესახებ. კათოლიკურმა პროპაგანდამ საქართველოში ახალი ძალით იფეთქა. საქართველოს მდგომარეობით დაინტერესდა ვატიკანი. დაიძრა თეატინელ ორდენთა მორიგი ტალღა (პიეტრო ავიტაბილე, არქანჯელო ლამბერტი, ქრისტეფორე დე კასტელი, ჯუსტო პრატო და მრავალი სხვ.). კათოლიკური „ვირუსი" მთელს საქართველოს მოედო. ამ სარწმუნოებით „დაავადდა" ქართლი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველო — იმერეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა, კაპუცინელ მისიონერებს შორის იყვნენ მწერლები, ექიმები, მხატვრები, ინჟინრები, გეოგრაფ-ასტრონომები.

შარდენი კავკასიაში მოგზაურობის დროს გადმოგვცემს სამეგრელოში მცხოვრებ კათოლიკეთა საქმიანობაზე. კერძოდ, იგი წერს, რომ აქ პატრებს მონასტერი ჰქონიათ და მათ დიდ პატივს სცემდნენ როგორც უბრალო ხალხი, ისე მეფე-მთავრები.

შარდენმა სამეგრელოს გარდა შემოიარა ქუთაისი, გორი, თბილისი. ამ მოგზაურობის დროს საქართველოში მცხოვრებმა კათოლიკეებმა ევროპელი მოგზაური პატივით მიიღეს და თავიანთ მონასტერში მიუჩინეს ბინა. შარდენი დაწვრილებით აღწერს მეფის სასახლეს დინარე მტკვრის ნაპირას, ნადიმს, რომელსაც ესწრებოდა კათოლიკე პატრი რაფაელი.

საქართველოს მეფეები, განსაკუთრებით ვახტანგ VI, ერეკლე II, სოლომონ I, არა მარტო ხელს უწყობდნენ კათოლიკე მისიონერების პროპაგანდას საქართველოში, არამედ ხშირად რჩევისთვისაც მიმართავდნენ მათ. ისტორიულ წყაროებში დაცულია მრავალი ცნობა, სადაც ასახულია იმერეთის მეფის სოლომონ პირველის კეთილი დამოკიდებულება კათოლიკეებთან. სოლომონ პირველი ომიანობისა თუ ნადირობის დროს არასოდეს არ იძინებდა, თუ მასთან კარავში არ იყო მისი უხუცეს-მსახური — კათოლიკე ლათიაშვილი. უფრო მეტი, საქართველოს მეფე-მთავრებს, უფლისწულებს, მოსამსახურეებად უპირატესად ქართველი კათოლიკეები ჰყავდათ. რუსეთში გადასახლების დროს მრავალი ამ კათოლიკეთაგანი თან გაჰყვა თავის ბატონიშვილს.

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ რაჭის საერისთავოში კათოლიკური სარწმუნოება ძირითადად ჯერ კიდევ შოშიტა ერისთავ III-ის დროს გავრცელდა. ამ პერიოდში ვხვდებით მისიონერების მიმოწერას რაჭის ერისთავებთან. „იმერეთში ორ ადგილას გვიწვევენ. იქაური მთავრების წერილები ხელში მაქვს, აქამდე ვერ შევძელით წავსულიყავით. ქუთაისს მყოფ ჩვენს ერთგულს კათოლიკეს მივანდე, რომ აცნობოს, როდესაც საკმაო საშუალება შეექმნება, თუ ორთავ ალაგას არა, ქუთაისს მაინც გავგზავნი მისიონერებს". (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ. 1902, გვ. 243).

რაჭაში კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდა განსაკუთრებით გაძლიერდა როსტომ რაჭის ერისთავის გამგებლობის (1749-1769 წწ.) დროს. XVIII ს. II ნახევარში კათოლიკური სარწმუნოების დამცველებად გამოვიდნენ იმერეთის მეფე ალექსანდრე V, როსტომ რაჭის ერისთავი, ერისთავის ძმა იმერეთ-აფხაზეთის კათალიკოსი — ბესარიონი და წმინდა ბასილის მონაზონი სტეფანე წინამძღვარი. ვატიკანის არქივში დაცული ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ როსტომ რაჭის ერისთავს და მის ძმას ბესარიონ კათალიკოსს კათოლიკური სარწმუნოება მიუღიათ, აღსარების ბოლოში ბეჭედი დაუსვამთ და ხელიც მოუწერიათ.

1752 წელს ბესარიონ კათალიკოსმა აღსარების რელაციონი გაუგზავნა რომის პაპს დასამტკიცებლად. 1758 წლის 15 სექტემბერს ვატიკანიდან დასავლეთ საქართველოს კათალიკოსმა მიიღო დავალება, დაწვრილებით ეცნობებინა პაპისათვის გაკათოლიკებული პირების შესახებ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბესარიონ კათალიკოსი უპასუხოდ არ დატოვებდა პაპის წერილს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ბარათი არ ჩანს, შესაძლოა, გზაში დაიკარგა. ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი და რაჭის ერისთავი დადებითად მოეკიდნენ ევროპელი მისიონერების გამოჩენას რაჭაში, შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს. ეს ის დროა, როცა ფეოდალური საქართველოს მაღალი წრის წარმომადგენლები ევროპელ მისიონერებში თავისებურ „განმანათლებლებს" ხედავდნენ.

დასავლეთ საქართველოში მისიონერთა მოღვაწეობის ძირითადი მიზანი იყო კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება მართლმადიდებელ და მაჰმადიან ქართველებში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კათოლიკე მისიონერები გმობდნენ სამეფო-სამთავროებს შორის გაჩაღებულ შინაფეოდალურ ომებს. მათ არ მოსწონდათ ერთი მოდგმისა და რწმენის ხალხს შორის არსებული კონფლიქტი. მათი აზრით, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა დასუსტება შინაფეოდალური ომებით იყო გამოწვეული. გარდა ამისა, ქართველი მეფეები (მათ შორის სოლომონ პირველიც) ფიქრობდნენ, რომ კათოლიკე მისიონერებს შეეძლოთ გარკვეული როლის შესრულება ევროპის ქვეყნებთან კავშირის დასამყარებლად, სწორედ ამიტომ იყო, რომ იმერეთის მეფე ყოველნაირად უწყობდა ხელს მათ საქმიანობას.

XVII-XVIII სს. მიჯნაზე მაჰმადიანური სახელმწიფოების — ირანისა და ოსმალეთის — მომძლავრების გამო ქართულ ეკლესიას ქრისტიანული ნიადაგი შეერყა. საღად მოაზროვნე მეფე, თავადი

თუ კათალიკოსი ცდილობდა, ეკლესიაში მოკალათებული ქრისტეს უღირსი მსახურნი ეკლესიიდან გაედევნათ, ხოლო გამაჰმადიანებული ქართველი თავადიშვილები — მოექრისტიანებინათ და ქართველ ხალხში ევროპული ცივილიზაცია და წიგნიერება შეეტანათ. ევროპელი მისიონერები განათლების მხრივ როდი ჩამოუვარდებოდნენ საქართველოს საერო და სასულიერო წოდების წარმომადგენლებს: მათ მიერ გახსნილ სკოლებში (თბილისი, გორი, გურია, სამეგრელო, ონი) ისწავლებოდა ქართული, იტალიური, ფრანგული ენები. ტარდებოდა მეცადინეობა ასტრონომიაში, ადგენდნენ სხვადასხვა სახის ლექსიკონებს, თავს უყრიდნენ ფოლკლორულ მასალას და სხვ. სწორედ ამიტომ იყო, რომ პროგრესულად მოაზროვნე ქართველ მოღვაწეთა ერთმა ნაწილმა (სულხან-საბა, ვახტანგ VI, ერეკლე II, განსაკუთრებით ანტონ I და სხვ.) ოფიციალურად აღიარა 1439 წლის 6 ივლისის ფლორენციის უნიის დეკლარაცია. ამ დეკლარაციის მიხედვით, პაპის უფლება რომის მართლმადიდებლური ეკლესიისა და კათოლიკური სარწმუნოების მიმდევართა შორის კიდევ უფრო განმტკიცდა. ანტონ I-ის სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითონ სულიწმინდის საქმეზე და პაპის უფროსობაზე „შემცდარა“. როგორც ჩანს, ანტონ I-ს ევროპელ კათოლიკეებთან პოლიტიკური მიზნები უფრო აახლოვებდა, ვიდრე მათი სარწმუნოება. მაგრამ იგი არც კათოლიკური სარწმუნოების მიმართ იყო გულგრილი. შესაძლოა, ამიტომაც ცდილობდა იგი, ერეკლე მეორესთან ერთად, ქართლ-კახეთის სამეფო ევროპის ქვეყნებთან დაეკავშირებინა. სამწუხაროდ, ანტონ I-ის გაბედულ პოლიტიკას სხვა თვალით უყურებდნენ თეიმურაზ II და მისი კარის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი. ობობას ქსელივით დაიხლართა ფეოდალური საქართველოს სამეფო კარის ინტრიგა... ანტონ I-ს ცილი დასწამეს ხალხის გაკათოლიკებაში და საქართველოდან გააძევეს. ამის შემდეგ საქართველოში ევროპელ მისიონერებს მძიმე დღეები დაუდგათ. მიუხედავად ამისა, კვლავ გრძელდებოდა ევროპელი მისიონერების პროპაგანდა და მათ საქმიანობას უკვალოდ არც ჩაუვლია; ნ. ბერძენიშვილის აზრით, მათ მოღვაწეობას, უეჭველად, დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა მებრძოლი ქართველობის განსამტკიცებლად.

კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობამ დასავლეთ საქართველოში დიდად შეუწყო ხელი სამეფო-სამთავროთა სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

რაჭის საერისთავოში კათოლიკური მისიონი პირველად ონში დაარსდა. ონის მისიონის გაკათოლიკებაში გარკვეული ღვაწლი მიუძღვის კათოლიკე ორბელიანებს. ახალციხელი პავლე ეპისკოპოსის მიერ წარდგენილ რელაციონში მოხსენებულია კათოლიკე — ივანე, ერეკლე II-ის სამეფო კარის მოხელე; ივანეს ბიძაშვილი ვახტანგ ორბელიანი გადასულა იმერეთს და მისი საშუალებით კათოლიკური სარწმუნოება მიუღიათ იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ს, როსტომ რაჭის ერისთავს და მის ძმას—ბესარიონ კათალიკოსს. აღსანიშნავია, რომ კათოლიკური სარწმუნოების აღიარების შემდეგ მეფესა და ერისთავს ხელი აუღიათ ყმა-გლეხთა გაყიდვაზე. მისიონერ ლეონეს ცნობით, „როსტომ ერისთავმა და დადიანმა, მაშასადამე, ტყვეთა გაყიდვა აკრძალეს, როგორც უკანონო რამ, ახეთი კეთილი მაგალითი ამათგან გადაიღო ხინიორ მეფე სოლომონმაც“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოლომონ I დიდად მფარველობდა კათოლიკე მისიონერებს. მათი საშუალებით ჰქონდა მას მიმოწერა რომის პაპ პიუს მეექვსესთან. ამ მიმოწერის მიზანი იყო, როგორმე დაეინტერესებინა რომის პაპი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობით, რათა მისთვის კონკრეტული დახმარება აღმოეჩინა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

გურამ მეტრეველი

# ბარათი

## ოთარ ანდრონიკაშვილი

„გამარჯობა ჩემო თბილისქალაქო“...

 იეთიმ გურჯი.

ასი წლის წინ მართლა მომხდარა, მართლა დაბნელებულა მზე, მინაც ძრულა და ბევრს საკუთარი თვალით დაუნახავს, როგორ გადაყლაპა გველეშაპმა მზე.

როგორრია? არა, როგორრია-მეთქი?!.

ჰოდა, ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რა ვაიუბედურება დატრიალდებოდა „გოროდში“!

ვერ წარმოგიდგენიათ?

ოღონდაც!

„ფანტაზიაში“ რომ არ ჩამოგვერთვას, აი, ბატონო დოკუმენტი და მასთან ისტორიულიც — ბარათი, ანუ ეპისტოლე (მეცნიერულად).

სულ რაღაც ორიოდე დღის შემდეგ გაგზავნილი „რაზგონი ფოშტით“, იმ ღირსშესანიშნავი მზის დაბნელებიდან, თავისი გაყვითლებული მიტკლის კონვერტით, ჭიპზე დალუქული და ორთავიანი არწივით დაბეჭდილი.

მაშ არადა!

აბა, კეთილი ინებეთ, გახსენით კონვერტი და თავად ჩააბულბულეთ:

„...ქალოო, ვიღებ კალამს, გიძღვნი სალამს, მაგრამა არკი იფიქრო, შემოგევლები, ვითომ რაღაცას ვიგონებდე, ან კიდევა ჭორი იყოს..:

არა, თავი ნუ მამიკვდება, სულიც წამწყმედია!

ვამეეე, როგორა, მეორედ მოსვლა კი არ იყო!

ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე!

დილაა. ვსხედვართ მე და ჩემი ბაგრატა, ჩემი, ქა, რჯულიერი, ის კი არა, შენ რო იცი, მეხი დავაყარე, ჩაისა ვსომთ არხეინად. დუქანსაო პრიკაზჩიკ გადავაბარებო და ჰაიდა სოფელშიო, თქვენთანა რა, იმისთვინა, რომ აქა, ქალაქშია, დიდი სიცხეები დაიჭირა. ამასობაში გავიხედევით და რა გვესმის: ყეფა, კრიახი, ყროყინი, ყივილი, ჭიხვინი, ყმუილი.

ვაჰ, დიდება შენდა-მეთქი, ღმერთო, ამის თქმა და ჩამობნელება ერთი იყო, სიყრმის მზემა!

ჩამოიხურა რაღა შენი ღამე! დღისით-მზისით ქა, ჯერ ხეირიანად არც გათენებულა!

ატყდა კივილი, წივილი... ეს ჩვენი რჯულიერი კი, ვითომც არაფერი, ხვრეპავს ჩაისა, კრიპუსკითა...

ადე-მეთქი, ადამიანო, იქნება რა ამბავია ქვეყნიერობაზე-მეთქი?! ხელი ხმიქნია, ნეტაი შენა, მოგცლიაო.

არადა, აყალ-მაყალია ეზოში — თელეთობა მიმიქარია.

როგორც იყო, გადიწერა პირჯვარი, გაგორდა ბალკომზე და, როგორც რო მდუღარე არ გადაასხა, უკანვე შემოგორდა ზალაში.

ვუყურებ — ფერიფური მისდის. ვაიმე, შვილებო, გამიელვა, დაგაობლათ-მეთქი მამათქვენმა! (ის ქორია თვალი გაუსწორდა და ღიპიც სხვანაირად უთაფთაფებს).

უიმე, უიმე, რო მაგონდება, ელეთმელეთი მემართება!

არა, არააა... მტერსა და დუშმანს, რაც მე მაშინ შიშები ვჭამე! აქ მიყურე: ეცა ბარგიბარხანას და ძირსა ყრის ქუჩაბანდშია, ქა! ვაიმე, შვილებო, მამა გაგიგიჟდათ-მეთქი! დავიწივლე.

თან უფრო და უფრო ბნელდება — ლამის ლამფები ავანთოთ.

გარეთ ხო ნულა იტყვი — უკუნია და მეორედ მოსვლა; ვინ რასა სჩადის, ვინ რასა ჰყვირის, ვერაფერსაც ვერ გაიგებ!

დვორნიკები მართლა ანთებენ ქუჩის ფარნებსა. მესმის — პაჟარკამანდებმა ჩაიქროლეს ზარ-ზურნითა. საყდრებში მორთეს ზარები, რომა ქრისტესა ტირიან, გფიქრობ, ეს რა მიზეზით უჩენენ-მეთქი ნირჭასა?!

ცასა სწვდება ქვეყნის გნიასი!

ის იყო, გულში გავივლე — აქ საქმე ჯერ არის კარგად-მეთქი და ბაგრატამ — არა შემომოზინდა!

„აააღდდე, დდდეეედაკაცო, მმმზზზე გვეეელეშშშაპმა გააადაყყყლაპა!“

გეყურება? ენას უკიდებს, ესლა მაკლდა-მეთქი, ჩემთვისა ვთქვი.

წამოვფრინდი, შევვარდი, დავტაცე ხელი და ძირსა ვხტებით დედა-შვილი, ქუჩაბანდშია. ეტაჟებიდანა, ქალო, მესამეებიდანა!

ვიშ, ვიშ, ვიშ, რომ მაგონდება, ჯიგარილა მწყდება...

გადავრჩით!

...ამასობაში ავხედე ცასა და, ისე მე სიცოცხლე, როგორც მე იქ გველეშაპი დავინახე — შავი, ცხრაფეხა, საკუთარი კუდი პირში ეჩარა და საკუთარი პირიდანვე ჰყრიდა ნალვერდლებსა!

ვამეეე, თუ რასმე ვამატებდე... დამიჯერებ, თიკოჯან, დაო!..

არა, მერე და მერე კი გაგვაგებინა სოგრატამ, გიმნაზისტმა, ბუნების მოვლენააო, რა ვიცი... ის კი არა, გამურულ შუშაში დაგვანახა მზე, მთვარე, არე და მარე!

მაგრამ რაღა რა, ჩვენ ჩვენი კი დაგვემართა და... როგორ, ეს ამოტოლა ვეში რო დაილეწა... არა, ჰხედავ რა ძალა ჰქონია რჯულიერსა! მეხი კი დავათხლიშე! მზითვის ბუფეტი მარტოკინამა მოვისროლე ეზოში; დივანი? კრესლოები?!

მაგრამ რაკილა გვიხსნა უფალმა,, ჯანდაბას! ჩვენ ვიყვნეთ კარგათა და მაგისთანეებს ათასს იშოვნის...

...მეორე დღესა, რაკილა ცოტა გონს მოვეგეთ, გავვარდით ჰავლაბარსა, მულების მოსაკითხადა — თალალოსი და მალალოსი.

მისვლით კი მივედით, მაგრამა ვაი, იმ მისვლასა!

არც სახლები დასწვიათ. არცა რა. ცოცხლებიც დაგვხვდნენ და სუყველაფერი, მაგრამა, აკი ვიძახი, ვაი, ამათ, ყოფასა-მეთქი!

მისავათებულან დივანზედა — დანა პირს არ უხსნით. ვეკითხები — პეწენიკებოჯან, ეს რა ამბავია თქვენ თავსა?!

ხმა-კრინტი. თვალებსლა ყვლეპამენ ბუებივითა.

ჰაი, აქეთ მარილებიო, ჰაი, იქით პრიმოჩკებიო, აბა! თან ეს ჩემი რჯულიერი დაძუნძულებს ოთახებში — თითლიბაზებს ხო არაფერი ნაულიათო (ძალიანაც კარგი. ხუმრობ, ქალო, ნასლედნიკები ვართ). ამათ, ამ მუნჯებს, ვერ იქნა, ვერ გადავწერე პირჯვარი, გულიღა გადამენრიტა. ავდექ და ჩემებურად დავუცაცხანე:

ხმა ამოიღეთ, თქვე არდასაცალებლებო-მეთქი, ეს რა ამბავია თქვენ თავსა?!

იცოცხლე, ამოიღეს ხმა, მაგრამ რა ამოიღეს!

ვაიმე, სხვას რომ ეამბნა, არ დავიჯერებდი, მაგრამ საკუთარი პირებით დაროშეს, და!

„როცა გველეშაპმა მზეს პირი უყო, დავწექით და ველოდებოდით“.

რასა-მეთქი?

„მეორედ მოსვლასა!“

გინახია?

ხუთივე ფანჯარაში, ხუთივე თავი შემოგვიყოო გველეშაპმა, მოგვაფურთხა და გადაშენდაო (არა, ბიჭო, არშიყობას დაუწყებდა ამ ჯოჯოხეთის მაშხალებსა).

ის დღე დამპალი ჯიგრებივითა ყრილან, ის ღამეც; ღამე არაფერი და დილაზე კი გავარდნილან ანჩისხატში, პარაკლისი გადაუხდიათ!

# საუბარი ბრაზილიელ ფეხბურთელებთან

ბრაზილიის ნაკრები წელს მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდა, მაგრამ ფეხბურთის სამყაროს დიდი აღიარება და სიყვარული მოიპოვა. ბრაზილიელ ფეხბურთელებს ხშირად ესაუბრებიან ჟურნალისტები.

გთავაზობთ იტალიელი კორესპონდენტის ინტერვიუს, რომელშიც ბრაზილიის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები ლაპარაკობენ საკუთარ თავზე, მეტოქეებზე, წინამორბედებზე, ცხოვრებაზე...

**მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე სხვა გუნდთა შორის რომელი მოთამაშეები მოგწონთ?**

ფალკაო: კონტი და პროჰაზკა.

ზიკო: მარადონა, ბლოხინი და ვერკაუტერენი.

ედერი: შენგელია და რუმენიგე.

ჟუნიორი: მარადონა.

ტონინიო სერეზო: რუმენიგე, მარადონა, გალეგო (არგენტინა), ვერკაუტერენი, სტრაჩანი (შოტლანდია) და შენგელია.

სოკრატესი: ჩერნიატინსკი და არდილესი.

**როგორ წარმოგიდგენიათ ფეხბურთთან განშორების მომენტი?**

ფალკაო: ვიმედოვნებ, რომ ფეხბურთთან განშორების მომენტისათვის დავიმსახურებ საყოველთაო პატივისცემას, როგორც მოთამაშე.

სოკრატესი: ამაზე არასოდეს არ მიფიქრია.

ზიკო: როდესაც ვიგრძნობ, რომ უარესად ვთამაშობ, ფეხბურთს სამუდამოდ მივატოვებ.

ტონინიო სერეზო: იმედი მაქვს, თამაშს ღირსეულად დავანებებ თავს.

ედერი: ფეხბურთისათვის თავის დანებება? ეს სახუმარო საქმე არ არის!

ჟუნიორი: ჯერ კიდევ საკმაო ძალა და ენერგია შემრჩა, რომ ასეთ საკითხებზე არ ვიფიქრო.

**როგორ წარმოგიდგენიათ ბედნიერება?**

ფალკაო: არ მინდა ამაზე ლაპარაკი. მეშინია, თვალი არ მეცეს.

ჟუნიორი: ბედნიერება ის გახლავთ, როცა კმაყოფილი ხარ იმით, რაც გააკეთე.

სოკრატესი: ბედნიერება ის გახლავთ, როცა მსოფლიოში მშვიდობიანობაა.

ედერი: ბედნიერებაა იმათ მახლობლად ცხოვრება, ვინც გიყვარს.

ზიკო: ბედნიერებად მიმაჩნია, როცა სევდას თავს აღწევ.

ტონინიო სერეზო: ბედნიერება ნამდვილად მითი გახლავთ ისეთი პროფესიონალური ფეხბურთელებისათვის, როგორნიც ჩვენა ვართ.

**წარსულის რომელი ფეხბურთელები ტოვებდნენ თქვენზე ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას?**

ფალკაო: პელე და ლიდჰოლმი.

ტონინიო სერეზო: პელე და რიველინო.

ჟუნიორი: პელე და დი სტეფანო.

ზიკო: რიველინო. იგი ჩემი მასწავლებელი იყო.

სოკრატესი: პელე, კრუიფი, პუშკაში, დი სტეფანო.

ედერი: პელე.

**თქვენი გუნდის წევრები რას სცემთ ყველაზე დიდ პატივს?**

ფალკაო: მეგობრობის უნარს.

სოკრატესი: ნდობას.

ზიკო: ლოიალობას და გულითადობას.

ტონინიო სერეზო: ჩემს ნაკლთან შეგუების უნარს.

**თქვენი საყვარელი ლიტერატურული გმირი?**

ფალკაო: აურელიანო ბუენდია, გაბრიელ მარკესის რომანიდან „მარტოობის ასი წელი".

სოკრატესი: მე გმირებს წიგნებში არ ვეძებ.

ტონინიო სერეზო: დონ კიხოტი.

ჟუნიორი: პინოქიო (პოპულარული ზღაპრების გმირი).

**ყველაზე ძალიან რა გაღიზიანებთ?**

ფალკაო: შეცდომები თამაშის დროს.

ჟუნიორი: სიყალბე და უპატიოსნება.

სოკრატესი: უგუნურება, მათ შორის, ჩემი საკუთარი უგუნურებაც.

ედერი: ყველაზე ძალიან მაღიზიანებს ის, ასეთ კითხვებს რომ მაძლევენ.

ზიკო: უმნიშვნელო ძალის მოთამაშეების ჭუჭყიანი თამაში, რომელთაც არსენალში ამის მეტი სხვა არა აქვთ რა.

**ვინ გინდათ რომ იყოთ?**

ფალკაო: ის, ვინც ვარ.

ტონინიო სერეზო: უაზრო შეკითხვაა.

ჟუნიორი: შესაძლებელი რომ იყოს, მსურდა უკვდავი ვყოფილიყავი.

სოკრატესი: მინდა ვიყო კარგი ფეხბურთელი და კარგი ექიმი-პედიატრი.

ედერი: ის, ვინც ვარ.

**როგორია თქვენი მთავარი ნაკლი?**

ფალკაო: ძალიან ცოტა რამ ვიცი.

ედერი: მე იმდენი ნაკლი მაქვს, რომ ყველას ვერც კი ჩამოვთვლი.

ტონინიო სერეზო: ძალიან გულახდილი ვარ ყველასთან.

სოკრატესი: ხშირად უაზროდ ვლაპარაკობ.

ჟუნიორი: სიზარმაცე.

ზიკო: შეურიგებლობა.

**მწვრთნელის რომელ ღირსებას აფასებთ ყველაზე მეტად?**

ფალკაო: თითოეული მოთამაშისადმი ინდივიდუალური მიდგომის უნარს.

ტონინიო სერეზო: გულახდილობას.

ზიკო: ჭკუას.

სოკრატესი: ჯანსაღ ოპტიმიზმს, რომელიც რეალიზმთან არის შერწყმული.

ედერი: სითამამეს.

ჟუნიორი: ხასიათის სიმტკიცეს.

**თქვენი ჰობი?**

ტონინიო სერეზო: ფეხბურთი ჩემი პროფესიაც არის, ჰობიც და სიცოცხლეც.

ედერი: კარგი ნამცხვარი.

სოკრატესი: თუ წიგნების წაკითხვა ჰობად არ ჩაითვლება, მაშინ რებუსების ამოხსნა.

ზიკო: მე ჰობი არა მაქვს.

ჟუნიორი: ჩემი ჰობი გახლავთ საკუთარ თავთან მარტო დარჩენა.

პუბლიკაცია მოამზადა

**გივი გამრეკელმა.**

---

**ცოცხალი თავებითა!**

**ათ თუმნიანი!**

**გეყურება? გავიხედეთ და გადასცდნენ მულები ჭკუაზედ, მაშინა? მაშ, იმ მღვდელსა ნამუსი აქვს?!. ახლა დიაკვანს უტრიზავებია — ხვალ უარესი გველეშაპი მოვაო, — თუმანიც იმას წაურთმევია.**

**ვიღუპებით! მაგრამა ჯერ სადა ხარ! ჰოდა, არც აციეს, არც აცხელეს, არ დაიჯერებ, ნამდვილად არ დაიჯერებ, გავარდნილან და... ვაიმეეე, რატო არ მოვკვდები, გაქცეულან ეს ჩემი მულები და ორი სასახლე არ უყიდიათ!**

**უფალო შემიწყალე! გაგონილა, არა, მე შენ გეკითხები, გაგონილა?!**

**მიუტანინებიათ ბინაზე — ვიჯმნი ეშმაკისაგან, ვიჯმნი ეშმაკისაგან! შეუტანინებიათ ზალაში და ერთმანეთისთვის შეუტირნიათ: „მეორედ მოსვლაზე ჩვენთვის ვილას ეცლება, ვილა იკისრებს ჩვენ გაპატიოსნებასა! — კიდევაც მეცინება და კიდევაც მეტირება, — ვინ იცის, ესეე გადაგვიძახონ ორმოში".**

**ჩაუცვამთ-დაუხურავთ, მზითვის კაბა-ჯუბები, მზითვისა, ქალოოო! საყურეები, ბეჭდები, შუბლის ქინძისთავები, არაფერი დავიწყნიათ, სულ ზედ ჩამოუკონწიალებიათ; ერთი სასახლე შეუნახიათ, მეორეში... ჰო, მეორე შუა ზალაში დაუდგამთ, დაუბნელებიათ, დაუნთიათ კელაპტრები, ყვავილები მიუყრ-მოუყრიათ და... ირგე-ბენ!!!**

**რიგრიგობითა წვებიან, შიგა, სასახლეში! ვითომ, აბა, როგორრებილა ვიქნებით მიცვალებულობაშიო. თან ერთმანეთს სარკეებს უჭერენ — იკოპწიავებენ თავებსა.**

**აი, ამათი კუბო ვნახე, მართლა ცხრაფეხა და მართლა ოხერი!**

**ახლა აღარ იკითხავ, რა უკისრიათ კიდევა?! სურათები გადავალებინოთოო! შიგა, ადამიანო, სასახლეში!**

**ამდგარან, ბიჭი უფრენიათ მუსიო სეგოკუსთან, ფოტოგრაფთანა, გალავინსკზედა.**

**მოსულა ის ჩემი ცოდვით სავსე, თავის აპარატ-უპარატითა, ხედავს: ერთი და სასახლეში წევს — მკვდარია, მეორე ტირის, ზნაჩიტ, ცოცხალია!**

**სულ ფეხისცერებზე დადენილა კაცი, აქაოდა ჭირისუფალი არ შევაწუხოოო; გადაუღო სურათი მიცვალებულს, მიუბრუნდა ცოცხალს და ჩურჩულით ეკითხება: „მადამ, პარდონ, მადმუაზელ, რამდენი სურათი დაგიმზადოთ?"**

**მალალოს მხრები აუჩეჩია, არ ვიციო, თან თალალოსკენ იხედება. მუსიო სეგოკუსაც გაუხედია და რას ხედამს, ამოუწვდია ხელი მკვდარსა და ორ თითს ათამაშებს — ორი სურათიო, რაღა.**

**წასულა თურმე უკან-უკან მუსიო სეგოკუ, გასულა კარლიაში და... გაფრენილა!**

**ვაჰ, შენ კი გენაცვალე! (მტკვარზე რო ბალკომი გადის, იქა კარები არცა ყოფილა და არც იქნება).**

**მერე ვითომ სეგოკუს სული იმ კარლიაში ამოცურებულა, თავი დაუკრავს ამ მართლა თავშიდაკრულებისთვის და სულ წივილ-წივილით ამაღლებულა...**

**არა, ისე კაცმა რო თქვას, აქ ისეთი რა არი რო? მაგრამა...**

**სასახლეები შევუნახოთო, ბაგრატა იძახის, კარგებისააო, დღეს არა, ხვალ დასჭირდებათო, მაგრამა რად გინდა რა, სამართალში აძლევენ ამ... ამ... არა, ბაგრატა კი დატრიალდა, მაგრამ რა ვიცი, რა ვიცი... იქნებ, მოვახერხოთ და საგიჟეთში გავაბაროთ, არა რო?!**

**ბარბარობაზე მანდა ვართ მთელი უჭულ-ბუჭულებითა.**

**გახსოვს, დიაკვანი რომ გვასწავლიდა: „ქალწულებითა განსვენებული, წამებითა განბრწყინვებული, სასწაულთმომქმედი, სენთა და ბუგრთა მკურნალი, მოწამეო ბარბარე, მეოხ გვეყავ ჩვენ ცოდვილთა?!"**

**ჰოდა, ისა ვარ, რაღა!"**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოხუცები

**ვიტაუტე ჟილინსკაიტე**

ისინი ძლივს მილასლასდნენ პარკში დადგმულ მერხამდე.

მოხუცი ქალი სულ მთლად ჭალარა იყო, როგორც ახლად აყვავებული ვაშლის ხე; კაცი — მელოტი, მის ყვითელ ლოყებს არშიასავით მოსდებოდა გრძელი, თეთრი წვერი.

მოხრილები ისხდნენ, მათ გვერდით ჩავლილ წყვილებს დაღლილი და გულგრილი მზერით აცილებდნენ.

— რა პრიმიტიულია ყველა! ამოიოხრა ქალმა.

კაცმა უსიტყვოდ დაუქნია თავი; „ისინი სრულებით არ იცნობენ ცხოვრებას, რომელსაც ჩვენ უკვე კარგად გავუსინჯეთ კბილი", ამოიკითხავდით მათ აპათიურ მზერაში.

— ბაბუ, მომაწოდე შენი სკამის ქვეშ დაგდებული ბურთი! — მიმართა იქვე თამაშში გართულმა გოგონამ.

— მოდი და შენ თვითონ აიღე, — ალშფოთდა მოხუცი, — რა პატარაა, და როგორი თავხედი!

მან დიდი ვაივაგლახით აამოძრავა თავისი გამხდარი ფეხი და ბურთი მდინარეში მოისროლა.

გოგონა ატირდა.

ჩამობნელდა. ცაზე გამოჩნდა საოცრად ბებერი და გულგატეხილი მთვარე.

— მე კარგად მესმის ჰემინგუეისა, — ღრმააზროვნად თქვა კაცმა, — დარწმუნებული ვარ, რომ ერნესტმა თავი მოიკლა. იგი დაიღალა, მისი მოხუციც დაიღალა ვირთევზას ჭერით!

— მგონი, ქორჭილა იყო! — შეუსწორა ქალმა.

— ვირთევზა, ქორჭილა, ჭიჭყინა... სულ ერთი არ არის?! მთავარია არსი. მთავარია, მოსწყინდა!

— ...სამწუხაროა, რომ ქლექი არ შემეყარა, როგორც პატს, — მეოცნებესავით ნაიდუდუნა ქალმა, — მაშინ სხვა ცხოვრება მექნებოდა!

— პატი?! ყოჩაღ, ქალო, — გამოცოცხლდა კაცი, — იგი ხომ მთელი ცხოვრება სვამდა, მაგრამ მაინც დიდებულად ეჭირა თავი. რემარკმა იცის, რა წეროს!

— იმიტომ სვამდა, რომ მას ყოველთვის უმასპინძლდებოდნენ, — მრავალმნიშვნელოვნად თქვა ქალმა, — და არა პორტვეინით, არამედ კონიაკით, კალვადოსით.

— აბსენტით! — ნერწყვი გადაყლაპა კაცმა.

— სწორია, აბსენტით! მე კი ჩვენი ერთად ყოფნის დროს არ მახსოვს, რომ შენ...

ისინი უცებ დადუმდნენ.

— ...სიკვდილის წინ მე ვისურვებდი კუბაში ვყოფილიყავი! — თქვა კაცმა და თავის წვერს დაუწყო წვალება, — რა პალმებია, როგორი, იახტები!

— მე კი აფრიკაში მინდა ყოფნა, — ამოიოხრა ქალმა, — პალმები, ტამტამები... მაგრამ ახლა ისე მცივა, ყველაფერი სულ ერთია ჩემთვის. ბოლოს და ბოლოს შეგვეძლო [illegible] რესტორანში?!

— შენ რა, ვალიუტა ხომ არ გაგიჩნდა?! — [illegible] კაცმა.

— დედაჩემი უკვე დიდი ხანია მირჩევს, გამოვძებნო ფულიანი მოხუცი, — მან თეთრი თმა კეკლუცად შეისწორა და განაგრძო, — იგი მეუბნება, ისეთ წვეროსან ბიჭუშკასთან, როგორიც შენა ხარ...

— შენ თუ გგონია, მე არ შემიძლია ვიპოვო აგარაკიანი და ფულიანი ბებრუხანა, ძალიანაც ცდები! — მიახალა კაცმა.

ისინი ცოტა ხანს კიდევ ისხდნენ ბაღში მერხზე, უაზროდ იყურებოდნენ ცაში, მერე ძლივძლივობით წამოდგნენ და პარკის ხეივანს გაუყვნენ.

მოხუცი და ბრძენი მთვარე მოწყენით მიაცილებდა „ახალგაზრდა" წყვილს.

ლიტვურიდან. თარგმნა

**გარი მეტრეველმა.**

---

### „მარტოობა"

როდენმა ქალის ცხრა ქანდაკება შექმნა; მათ „ცხრა მუზა" უწოდა. ერთმა ამერიკელმა მისგან ორი მათგანი იყიდა. როდენმა არ იცოდა. დარჩენილი შვიდი ქანდაკებისათვის რა სახელი შეერქვა.

— ამაზე ადვილი რა არის, — უთხრა მეგობარმა, — უწოდე „შვიდი ძირეული ცოდვა".

ცოტა ხნის შემდეგ ამერიკელმა ისევ შეიძინა ორი ქანდაკება. საჭირო გახდა დარჩენილი ხუთისთვის სახელის გამოძებნა. როდენმა მათ „ხუთი აზრი" უწოდა. შემდეგ ერთი ქანდაკებაც შეისყიდეს. დანარჩენ ოთხს როდენმა „ოთხი დრო" შეარქვა. ასე შემოეცალა თანდათან ქანდაკებები და ბოლოს ერთიღა შერჩა; ავტორმა მას „მარტოობა" უწოდა.

### ერთი ქანდაკების თავგადასავალი

პარიზში, მონმარტრისა და მონპარნასის დიდი ბულვარების გადაკვეთაზე დგას როდენის მიერ შექმნილი ბალზაკის ქანდაკება, რომელიც მუდამ მანქანების ორმხრივ ნაკადშია მოქცეული. ამ ქანდაკებას ყველაზე ფათერაკიანი თავგადასავალი აქვს.

ცნობილი მწერლის ქანდაკების ალმართვის იდეა ჯერ კიდევ 1888 წელს დაიბადა პარიზში, მწერლის გარდაცვალებიდან 35 წლის შემდეგ და მისი შექმნა ოგიუსტ როდენს სთხოვეს. ამ უკანასკნელმა ბალზაკი ისეთი წარმოადგინა, როგორიც ცხოვრებაში იყო...

ქანდაკება კომისიას არ მოეწონა და მოითხოვეს მისი გადაკეთება. ხელოვანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რეალისტურ პორტრეტს და მიუხედავად ბევრი ცდისა, ვერაფრის შეცვლა ვერ შეძლო. ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, როცა როდენმა ბალზაკი ხელოვნების სალონში გამოფინა განსასჯელად, ქანდაკებამ უკმაყოფილება გამოიწვია. როდენი იძულებული გახდა, ქანდაკება საკუთარი სახლის ბაღში დაედგა. ბალზაკის ეს ქანდაკება მხოლოდ 1920 წელს აღიარეს სპეციალისტებმა და გადაწყვიტეს, მისთვის საპატიო ადგილი მიეჩინათ. სწორედ მათი წყალობით იქნა გადატანილი ქანდაკება ორი დიდი ბულვარის გადაკვეთაზე.

როდენი ათ წელზე მეტს მუშაობდა ქანდაკებაზე, ხოლო 30 წელზე მეტი დასჭირდა მისი ნამუშევრის აღიარებას.

### ჯერ კიდევ არ გაუღვიძია

ერთხელ ალექსანდრე დიუმა (მამა) სპექტაკლს ესწრებოდა; მის გვერდით პიესის ავტორი იჯდა. უცებ დიუმამ დარბაზში მძინარე მაყურებელი შენიშნა, ავტორს ყურში ჩასჩურჩულა:

— ნახეთ, როგორი ეფექტი აქვს თქვენს პიესას! — და მძინარეზე ანიშნა.

მეორე დღეს ორივე მწერალი იმავე ადგილას ისხდნენ, ამჯერად დიუმას კომედიას უჩვენებდნენ. ახლა დიუმას თანამოკალმემ შენიშნა მძინარე მაყურებელი და სამაგიეროს გადახდის მიზნით დიუმას ჩასჩურჩულა:

— ხომ ხედავთ, თქვენი კომედიის ნახვის დროსაც შეიძლება თურმე ჩაეძინოს მაყურებელს.

— არა, ბატონო, არა, — გაცხარდა დიუმა, — ეს გუშინდელი მაყურებელია, მას ჯერ კიდევ არ გაუღვიძია.

ფრანგულიდან თარგმნა **იონა ბადავიძემ.**

---

გარეკანის პირველ გვერდზე: „თბილისობა" — ავტორი საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი დინარა ნოდია. ფოტო გრიგოლ სეირანიანისა.

მეორე გვერდზე: სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის მევენახეობის ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირი ვლადიმერ ხუცურაული. ფოტო მიხეილ კვირიკაშვილისა.

მეოთხე გვერდზე: „ქარხნის ეზო" (თერჯოლაში). ფოტო არსენ ჩარკვიანისა.

**მონტაჟი მზია ლოგუანიძისა**

გადაეცა წარმოებას 15. IX. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. X. 82 წ.. უე 05784. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,93, ტირაჟი 51000, შეკვ. 2224. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»). (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება



მატჩი დამთავრდა.

მომავალი ოსტატები.

ვალერიან გენგიურის ფოტო.



ინდექსი — 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დროშა